წიგნები
ვაკეში

© დავით დეფი გოგიბედაშვილი, „სევდია"
© საგამომცემლო ჯგუფი „წიგნები ვაკეში"
© სერია „გზაში"

ყველა საავტორო უფლება დაცულია

პორტრეტის ფოტო *ვოვა ბურჭულაძე*
გარეკანის ფოტო NASA FOR POETRY
ნავიგატორები: *გიორგი კაკაბაძე*
*ნიკა პაპოშვილი*
გარეკანის დიზაინი *ანო კიკაჩეიშვილი*
ტექნიკური რედაქტორი *ინგა ნავროზაშვილი*

საგამომცემლო ჯგუფი „წიგნები ვაკეში"
ფალიაშვილის 66; ტელ.: (995 32) 23 29 80
**WWW.BOOKSIN.GE** **INFO@BOOKSIN.GE**
**WWW.DEPHY.GE**

ISSN 1987-8818
ISBN 978-9941-0-3215-8

**DAVID DEPHY**

# SEVDYA

SUPERNOVA DOMINE
POEMS

გამომცემელი „წიგნები ვაკეში"

სერია
გზაში
2011

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲔᲤᲘ
ᲒᲝᲒᲘᲑᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# ხევტია

## THE STARKING

სინათლის სიჩქარით
და უფრო ჩქარა
და უფრო შენკენ
და უფრო შენთვის,
მე ვესწრაფები
დიდ შუქთა ქალაქს
დიდ შუქთა ქალაქს
მე სიტყვებს ვეტყვი,

სიტყვებს სიმღერით,
სიჩუმით სავსეს,
ცაზე გაელვების
ბზარი ჩანს ელვის,
რადგან დიდ შუქთა
სამყაროს თავზე
დიდმა ვარსკვლავმა
ინათა ELVIS.

*19 იანვარი 2010*

სატელევიზიო შოუ "სიმართლის დრო" LIVE-ში შეთხზული ექსპრომტი, აუდიტორიისა და წამყვანის თვალწინ.

შოუ ეთერში გავიდა 30.03. 2010.

სუნთქვებს მივყვები...
სუნთქვა მიწყდება...
მიმაფრენს...
მიმარწევს...
მიმათრევს რომ,
ვარსკვლავად დადგეს,
ჩვენს ბედისწერად,
როგორც ახლა დგას
სიმართლის დრო.

*25 მარტი 2010*





წითელ პარასკევს,
ინტერვიუს დროს შეთხზული ექსპრომტი.
2.04.2010.

ჭიამაია ხელზე დამაჯდა,
მე სინათლეებს მივსდევ,
ქარი ჩადგება, დარი
დადგება,
მკვდრეთით აღსდგება
ქრისტე.

*2 აპრილი 2010*

## სევდა საფლავთან

მე შენ სილამაზეს უკვე ველარ აღვწერ,
შენ სრულყოფილი ხარ. უთქმელი სიტყვა.
მე შენ სილამაზეს ველარ დავინახავ,
მიჰყვა დღეს ღამე, ღამეს დღე მიჰყვა.

მე კვლავ მეცრემლება მთელი ჩემი სული,
სულის იერი კი ლურჯი ნათების მაქვს,
როგორც ერთი ნატვრა, ისე შემისრულდა
შენი სახის ხილვა, ტვინის შერყევის ხმად.

მე შენ სილამაზეს უკვე ველარც ვიტევ,
ვერსად ჩავიმალავ, ფიქრის სილურჯეში,
შუქმა იოქროვა და სხივს სხივმა ძგიდე
თითქოს ოდნავ გაკრა, მე მათ მივუჯექი.

მე მათ მივაკვირდი და შენ სილამაზეს
და შენ გაღიმებას, უთქმელი სიტყვა
ბაგეს დაეწაფა, ორთოლვას მივამსგავსე
სუნთქვას ჩემი სულიც, თითქოს თან გზად
მიჰყვა.

*3 აპრილი 2010*





## სევდა წასვლისას

იაშკარავა განგების ზრახვამ.
გამჟღავნდა სიტყვა. სიტყვა იდეა.
უთხარი ყველას, ვისაც კი ნახავ,
თურმე სიზმარნი არსად მიდიან.

არსად მიდიან არც სიყვარულნი,
არც იმედები, არცა სუნთქვანი,
რიჟრაჟზე ნისლებს მიაყურადე
და ვისაც ნახავ ყველას უთხარი,

უთხარი, სევდამ მე რომ დამსუსხა,
სასიყვარულო სულ დამაქვს ნება
და საიდუმლოს ყველა პასუხი
ამავე ნებით, რომ აიხსნება,

რომ ყელში მიჭერს, წასვლის სიმწარე,
სევდა, ცაცხვივით აშლილი ცამდე,
რომ ჯერ შორიდან მყისვე გიცანი,
რომ ყვავილებიც შენ თავთან დავდე,

ყველა ჩემ შემხვედრს, სხვებსაც, დანარჩენს,
ვეტყოდი შენზე, ყვავილთბარდნის დროს
და რა მოხდება შენ რომ აქ დარჩე
და რა მოხდება შენ რომ აქ იყო.

*4 აპრილი 2010 აღდგომა*

**სევდა სიტყვების**

თვალთ ამეხილა რიჟრაჟზე. ბაღში.
თითქოს დავბრმავდი დამასკოს გზაზე.
წამით დამაქვს დრო, წამი წამს აშლის,
დროის დინებას მეც გავეზლაზნე.

მეც შევისუნთქე სურნელი შენი,
ის მოიისფრო სურნელი შენი
და ყოველდილით შენს გამოჩენას
მე სულელივით სულ ველი, ველი

და სულ თან დამაქვს თილისმაც ჩემი
და სულთათანაც ძილისპირულს ჰგავს,
სიჩუმეს შვენიან ღამენიც, დღენიც,
სიჩუმეც მოჰგავს თითქოს ღვთიურ ხმას,

ასე მარტივს და მაინც აუხსნელს,
თითქოს გაწვიმდა ანკარა სიზმრით,
თითქოს ჭრილობაც ღმერთს გადაუხსნეს,
მისანიც სიტყვებს ბანზე არ ისვრის

და რაც დრო გადის და მასთან ერთად,
შეირხევიან ჩრდილები სკნელთა
და ნეტავ ეთქვათ, სიმართლე ეთქვათ,
რომ მყვარებოდა მეტად და მეტად





მე სევდა სხვისი, საკუთარივით,
წამს წამი სდევდა, წამწამებს ხრიდა,
სახეზე მწუხრის სიჩუმე შენი,
როცა ხმა მესმა შენივე მხრიდან,

– მანდ როგორა ხარ, – შენ თითქოს მკითხე,
– დარჩენა გიწევს, ჯერ, დათქმულ დრომდე,
მე კი გავჩუმდი, ხმა გავიკმიდე,
სევდა სიტყვების ართქმულა ორჯერ.

*6 აპრილი 2010*

## სულ მოვისწრაფი ასე შენდამი

დავნიშნე ქუჩა. ნაბიჯით.
დავნიშნე ღამე. სიზმრით.
დავნიშნე სიჩუმე. სიტყვით.
დავნიშნე ბედისწერა. ცხოვრებით.
დავნიშნე სიკვდილი. დაბადებით.
დავნიშნე დილა. სიფხიზლით.
დავნიშნე საიდუმლო. მარხვით.
დავნიშნე რწმენა. იმედით.
იმედი დავნიშნე სიყვარულით.
სიყვარული კი დანიშნა ღმერთმა
და წამით ღმერთი, გახდა ნიშანი,

ყველა ნიშანი, შეუცნობადის
ამოვიკითხე, ამოვიცანი,
ცანი ხარობენ სულის მარცვალით,
ის უსასრულო ცათანი ცანნი,

ხარობენ რადგან, ალბათ მანდა ხარ,
სევდა შუქების სახეზე გადევს
და სევდა ახლდა ძველსა და ახალს
სიცოცხლეს ჩვენსას, ვარსკვლავით თავზე,

შთაგონებათა დიდი სანიშნე,
აღფრთოვანება, სიმარტოვისთვის
მე ყველა სიტყვა სისხლით დავნიშნე,
ან სიმარტოვეს, ვინ სად მოითვლის,





მე ხომ მიყვარხარ და სულ მიყვარდი
და ჩემ სიყვარულს არა აქვს ახსნა,
ვიბანდე ღამეს, დილის პირბადეს,
თუ ვინმე მოკვდა, მკვდრეთითაც აღსდგა

და დამიბრუნდა ჩემივე სუნთქვა,
თან მომიტანა სხვა სურნელება,
სულ დამჩურჩულებს ბაგესთან, ყურთან,
რაც სულს ენება, რაც გულს ენება,

იქ ვიბადებით, აქ როცა ვკვდებით,
თავს სად იჩენენ დარდნი, სევდანი,
ასე შენდამი დიდი სისწრაფით
სულს მოვისწრაფი ასე შენდამი.

*20 აპრილი 2010*

## ცას აწყვეტილი

ცას აწყვეტილი ვარსკვლავი მართლაც
მთელი ნათების ერთი მარცვალია,
მომკალი თუ მკლავ, შენი დრო არ მაქვს,
მომკალი თუ მკლავ, შენთვის არ მცალია,

რადგან სიცოცხლე ისე მსიამოვნებს,
რომ ვერც აგიხსნი ზოგჯერ რასა ვგრძნობ,
გვიან ყვავილნი დაგვიან თოვლებს
და ადრიანად სურნელს ატანს დროს

ერთ-ერთი წამი, ზეზე წამომხტარი,
როგორც კეკლუცი ერთ-ერთი კოცნა,
ზეცის სიმწიფისგან მიწის ხარობს ტანი,
როცა ვცოცხლობ და არ ვკვდები როცა,

როცა მარტო ვარ, როცა სხვასთან ვარ
და სიშორეში ვხედავ სიახლოვეს,
ფიქრს ვიშორებდი სიტყვის კვალდაკვალ,
როგორც სიჩუმე ბგერას იახლოვებს,

აღფრთოვანდება, ამეტყველდება,
ყოველი წამი, ჟამი და კოცნა,
ცაზე აწყვეტილი ვარსკვლავის კვალი
დაეტყვევება ჩემს სულსაც როცა.

*29 აპრილი 2010*





## ღვინოს ვისხამდე დილის სისხამზე

მე უნებლიედ დილის სისხამზე
ერთი ნიშანი ამოვიცანი
და გავიაზრე მისი მგვანება,
დილის სისხამზე მამანი, ძმანი,
ერთ სამ სახებად სად ემგვანება,

შენ ზურმუხტის თვლებს მაპნევ და მესვრი,
ერთი პასუხი და ერთი კითხვა
და უნებლიედ მეც მთელი ლექსი,
სულიდან სუნთქვად ამომერითმა

და სული ჩემი სიზმრად ათეთრდა
და ერთი დიდი მთის, დიდი მწვერვალი,
სამარადისოდ მოჩანს აქედან,
სადაც სიზმარნიც ავიმწერალე,

ირგვლივ გამოჩნდნენ შენი მაცნენი
და სული ჩემი გზად აიტაცეს,
სიზმრად უპოვართ სამოსს ვაცმევდი
და მათ ოცნებებს ნაფხრეწს და ნაცემს

ვინ ააქარგავს კოსმოსის მინდვრებს,
ორმოც ათასი სინათლის წელიწადს,
იქ ვხედავ ცოცხლებს, ჩვენც სულ
ვიცოცხლებთ
სულ ასე მჯერა მე სულ ასე მწამს,

რადგან სიცოცხლეს ბოლო არ უჩანს
მე შეგიყვარე ჩემი თავივით,
ჯერ აოქროვდა, შემდეგ ალურჯდა
ნათება სულის, ზეცაჩაღვრილი.

*12 მაისი 2010*





## სამშვიდობოსთვის

შენი აზრებით მოვიაზრები,
როგორც თავხედი და მოგზაური.
ახლა დავხევდი ყველა ჩემ წერილს.
წელს, შემოვლითი ერთი გზა უვლის.

სამასსამოცდახუთი დღის გაღმა,
სამასსამოცდახუთივე ღამე,
ახლა წამომცდა, თუთის ხეს გავხარ,
ან რა წამომცდა, თუ კი ვერ გნახე,

ეს მეტყველებაც დღეს მეტყვევება,
რადგან შენ იერს მე გზა მაგონებს,
ასე მშვენიერ ვარსკვლავ-ტყეებად
სული ვაპნიე, როგორც დაბლობებს

და მდინარეებს, ზღვებს, ოკეანეს,
მათ ვახსენდები, მე მავიწყდება
და არც მხილება არვის მინდოდა...
და არც არავის მინდოდა წყენა...

მაგრამ აღმოჩნდა თუ რა შორსა ვარ,
შემოვლითი გზით სულ წინ მივლია
და მიმიგნია ყველაზე ადრე,
სამშვიდობოსთვის რომ მიმიგნია.

*13 მაისი 2010*

## სევდა სიზმრების

არ მესმის. ვერ ვხვდები. ვერ ვხვდები როგორ,
ვერ ვხვდები რატომ. რისთვის. როდემდე.
მე ხომ მოგენდე. მოგძებნე მარტომ,
სიტყვებით გართობ,
როგორც ბორცვებზე

ცვარი დგას დილით, ბილიკებს მიღმა,
სოფელის ნისლი სიზმრებში შედის
და მაინც არ მესმის, ვერ ვხდები რისგან,
გრძნობა დამჩემდა სევდის და, შვების.

დამჩემდა ზღვარზე შედგომის შეგრძნება.
თითქოს წამიც და ფეხიც წამცდება,
სიზმრებს თუ სიცხადის პასუხი ექნებათ,
გავიგებ, გეტყვი, მოცისფრო ყანწებად.

ვინ მომცა ერთად სიცოცხლე სალხინო,
ვინ მომცა ერთად ასეთი სიმდიდრე,
თევზი ვარ განა, ფსკერთან რომ დავყვინთო,
ჩიტი ვარ განა, ცასთან რომ მივფრინდე.

ერთი ათასად აცხადდა, ან და
ათასი ჩვევა მექცა ერთ თვისებად,
და ერთნაირად გპოულობ, გკარგავ,
როცა მძინავს და როცა მეღვიძება.

*27 მაისი 2010*





## სახარება FACEBOOK

*Abracsas Abracadabra*
*sms-ებით შედგენილი ლექსი*

FACEBOOK-ზე ვიმეგობროთ?
მოდი. რატომაც არა.
თუმცა...
FACEBOOK-ზე რომ არა ვარ?
ძალა სულ გამომაცალა
ვირტუალური ზმნების ციმციმმა,
“RITUALURI ZNE POEZIA”
გახსოვს რომ გწერდი?...
თითქოს ვიცი და არა ვიცი რა,
დღეს გადავშალე ახალი გვერდი...
თითქოს მახსოვს და არა მახსოვს რა,
LINK-ია, ქვემოთ ჩანს, მე ზემოთ ვუმზერ,
თავი შენმა ხმამ დამამახსოვრა
და სურათებმა, ჩვენს FACEBOOK-ზე.

კომენტარებით სავსე რომაა,
ხან ვუმღეროდი, ხან ვახველებდი,
ხან გალობაა, ხანაც გმობაა,
მე საუკვდავე მწამს სახელები...
ვინც დააწესა ძე ღმერთმა ასე,
გინდ NICKNAME-ით მოგაგნებს ვინც შენ,
გაუტამაა
და ჰერმან ჰესე,

ზარატუსტრაა
და ფრიდრიხ ნიცშე...

შემიყვარე...
მანუგეშე...
FACEBOOK-ზე დამიმატე,
დაგეწიგნე...
ანუ მე შენ
იმ აპრილებს და იმ მარტებს,
კვლავ სიტყვებით გადმოგიწყობ,
ახლადაც და უძველესად,
"რამეთუ" და "ოდეს", "ვინძლო",
დანასავით უძვლოდ ლესა,
სულმა სრული სული ჩემი...
მიმიყვანა, მიმათრია,
ყელზე დამკიდა ამარტა,
აი ია-ს სიმეტრია,
ატამი ითესა ასეთი იმატა.

*3 ივნისი 2010*





## ძე უძღები

შეუძლებელია
შესაძლებელი,
მიუხვედრელია
და მისახვედრიც,
ძე უძღები ვარ,
შენ სად მეძებდი,
აქვე ვყოფილვარ,
ახლა დავხევდი

ამავე ლექსს და
ამავე სუნთქვას
სულიდან ვტოვებ,
სახიდანაც კი,
როგორც ზღვა ტოვებს
სიშორის გემოს,
ნიჟარის გემოს,
გემოს ხამანცკის,

ძე უძღები ვარ
და ვარ მეთევზეც
და მიდევნია
ღორების კოლტიც,
მე სიუცხოვეს
გადავემსხვერპლე
და შენკენ ვილტვი
და ისევ მომდის

სისხლი სიტყვათა,
სიზმართა, გზათა,
თან რომ მოჰყვებათ
სიჩუმეებიც,
რა უაზროდ ვარ,
რა დამემართა,
იქნებ მოყვრებად
დავეტყვევებით,

ყველა ჩვენ შემხვედრს,
ყველა ჩვენ სტუმარს,
მედაშენ ისევ, ერთად,
ცალ-ცალკე,
მივიღებ შენ ხვედრს
და ისევ უხვად
ღამეებს მოგფენ
შორეთს წასვლამდე.

*9 ივნისი 2010*





## სიჩუმის ხატთან

გიყურებ. მიკვირს.
შენ კი მიღიმი...
და ალბათ ფიქრობ —
“რა საწყენია”,
დრო მალე გადის,
სევდა...
ღიმილი...
სახეს მიცვლიან,
როგორც ხე ნიავს

შეენაცვლება და...
შეირხევა
და ოთხივე დრო
თავს ითრობს მასთან
და შენი ცეკვა
და შენი რხევა,
მე კვლავ მაკვირვებს.
მე სახლში დამრჩა

სიზმარი,
რომელიც ვიხილე დილით.
ახლა ვერ გეტყვი
იქაურ ამბებს,
ალბათ იქამდე თუ მივირბინე
და სული ჩემიც,
თუ გაანათებს,

ალბათ გავიგებ
მიზეზს, აქყოფნის,
ალბათ გავიგებ
შენს სიყვარულსაც,
ახლა არ მყოფნის
არცერთი სიტყვა,
სიტყვას ხმაც მიჰყვა,
ხმა მიპარულა

დიდ სიჩუმესთან...
და ისევ მიკვირს...
გაგეღიმება
და სევდაც გადევს
და შენს წასვლამდე
სანამ კვლავ განახავ,
თუ კი მოვასწრებ
გეტყვი დანარჩენს.

*28 ივნისი 2010*





აფრინე კოცნა, მოკითხვა, სითბო,
ან მონატრებას რა მოთვლის ამდენს,
ფესვებით მიწაში, ვერ ფრენს ხე თვითონ,
მაგრამ ჩემამდე, ფოთლებს კი აფრენს.

*29 ივნისი 2010*

## ტყის ბილიკზე მიმავალი ნაბიჯ-ნაბიჯ მარტოდ მარტო

არ მოვკვდებით გაზაფხულზე,
არც ზაფხულში, არც არასდროს,
შემოდგომას არ მოვკვდებით
არც ზამთარი მკვდარს დამათოვს
დაო ჩემო, არ მოვკვდებით,
მოწყალე და ტკბილო დაო,
გარინდებით, გაოგნებით,
წამიც თითქოს დროს მოწყდაო,
არ მოვკვდებით გაზაფხულზე,
მიწევს ახსნა-განმარტება,
მწამს ყოველწელს თავს ვიმწვანებ
აპრილებად და მარტებად,
მწამს, ყოველწელს თავს ვიყვითლებ
ოქტომბრებად, ნოემბრებად,
მწამს, ვიცი და თან არ ვიცი
და გზაც ნაბიჯს მოერგება,
თუ გაყვება სამშვიდობოდ
ნერვების თხრას სიმშვიდე და
საპასუხოდ მაშინ როგორც
დღესაც ღამე იშვილებდა
და მნათობდა. არ ვოცნებობ.
მეოცნებე საფლავს ითხრის
და ყოველდღე მაოცებს რომ
წიგნის წერით, წიგნის კითხვით
ერთნაირად მიყვარდები





ერთნაირად მავიწყდები
მერე ისევ მიყვარდები
და ტყეების ხშირი წყებით
ღამედ ვითევ თავზე მთვარეს,
ბოშამ ბედი გამიშალა,
რიცხვებს რიცხვი მივათვალე
საუცხოო, სამნიშნა რამ,
ერთმანეთში ჩატეული
აშკარად და საიდუმლოდ
და ფოთოლთა მჩატე გულით
ტყეს სურს ძილი მაიძულოს
და ბილიკებს დამინისლავს
და ულრანში მიმიძღვება
და მჯადოქრობს და თილისმად
მატანს ჩრდილს და თითქმის ცხვრებად
ჩამოდევნის ყველა ღრუბელს
და სხივებსაც ჩამოადგამს,
დავიკარგე, ახლა, უკვე,
ან რა გკადრე სხვების მსგავსად,
რომ არ მიშვებ ისევ შენგან,
შენთან მტოვებ სამუდამოდ,
თითქოს ცხენი ყალყზე შედგა
გზას სურს კვალი დავუმთავრო,
კვალი კიდევ ყველგან რჩება,
ერთმა სხივმა ტყე შეავსო,
ბავშვობისას რომ ჩამესმა
მგელი შეჭამს ერკემალსო,
ახლა ოღონდ არ იწვიმოს,

არც სიჩუმე ახმაურდეს,
თან ვიცი და არც ვიცი რომ,
ექო ისმის გაღმა უკეთ,
ექო დროის, უდროოდ რომ
წამოადო დრომ წამი წამს,
ამიბნია ნაბიჯები,
და თილისმა მაინც მიცავს,
გამაყოლა სიზმარივით,
გზად გამცვალა ამან იმად
და ამინდიც გზად დამიდგა
მე ამინდი, ამინ, მინდა
დამემგზავროს და ბილიკზეც
გაიაროს ჩემთან ერთად,
შევეწყვები, შემეწყობა
სასიკვდილედ ყველა ველთან,
სასიცოცხლედ ნიშანს მაძლევს
ტყე მწუხრის და მონატრების,
მე ივლისის ტყეს გავივლი,
გაისადაც გემარტები,
გაისადაც ისევ ამდროს
თუკი შევრჩი საკუთარ თავს,
გეტყვი მარტო რატომ ვდარდობ,
სამოთხესაც სად უჩანდა
ყველა კარი, გასასვლელი,
გეტყვი, გეტყვი, მოგიყვები,
დაწვრილებით, საბრწყინებლად,
მოგვნიც მიჰყვნენ ვარსკვლავს მთებით,
ტყეებით და შარაგზებით,





ღამეების ზღვების გაღმა,
ხან სურვილი მზარავს ლგზნების,
ხან ალგზნებას მარხვა დახრავს,
მე მიყვარხარ, შენ ეს იცი,
დამოყვრებით შენი ცნების
და ცხოვრებაც დღეებს იცვლის
არ მოვკვდებით, შევიცვლებით.

*ივლისი 2010*

**ბევრი კითხვისგან**
**(ყველაფრით დაღლილს) ექინა...**
**და დავუწერე ასე:**

დღეს სიჩუმეს ვინც მომიტანს,
ჩემგან ოქროს წაილებს,
მტვერს გადაწმენდს ყვავილებს,
ჩემი სახლის აივანზე,
აღარ უჩანს აღარც ბოლო,
არც იმ ქუჩას,
არც იმ ხეს,
დღეს სიჩუმეს შენი კოცნით
სიტყვა სიტყვით გავიაზრებ,

გავავრცელებ...
ინტერნეტით...
ოქროს ხანად გადავრზდი,
მინდა ცოტა...
მინდა მეტი...
ყველა დროს და ახლაც კი,
ჩემი ჯერი არ დამდგარა,
მე ძაფს თექით ვამთავრებ,
სელინჯერი?
ჭვავის ყანა,
სტეინბექი?
ზამთარი,





სიმბოლო კი სიტყვის ბოლოს
ყველა დროის თანმდევია,
ამბნევია სიზმრის ხილვად
სუნთქვაც, მე, შენი კოცნით,
სად მდევნიან ვარსკვლავები
მართლაც, მართლაც რამდენია,
დაღამების გაფიქრებით
მშვენიერი დღე მოვრჩი,

დასაწყისი, დასასრული,
გახდა როგორც მუსიკა,
მუსიკით კი, მსურს იცოდე
გულს ვიცოცხლებ...
გულს ვიკლავ...

ჭვავის ყანა, ჭვავის ყანად...
გინდ ზამთართა მღელვარებამ,
დამალონა, გამახარა,
დუმს და ხმას მცემს,
მეხმარება

თავთან დავრჩე, შენთან ერთად,
სიმარტოვით ორნი დავტკბეთ...
თუ მაკლდება
მემამტება...
სხვის გულისთვის ცოლიც
მაკბეთს
ხმაურით და მძვინვარებით,

განურისხდა, დაუმშვიდდა,
თუ მძინარეც მიყვარდები,
გაღვიძებულს, დღეს, გუშინ და
ზეგ იგივეს გეტყვი... მითქვამს...
წიგნი წიგნად რჩება მაინც,
არ მოყვება მოთქმა-მითქმას
და არც ისმენს სიტყვებს ხვალის,

გგონია რომ ახლა ვბოდავ?
რითმს უაზროდ გაყოლილი?
თუ ბოდვაა იყოს ბოდვა —
ბლა ბლა ბლა ბლა
ნუ იცინი...
ყველგან ერთი აზრი სუნთქავს,
მაგრამ რითმით სუნთქავს უკეთ,
როგორც ახლა,
სიტყვა კოცნად,
შენს სიჩუმეს
მე შევუძე.

*10 ივლისი 2010*





## ტბები და ტყეები

უცნაურია.
ჩვენ ხომ ღმერთი ვართ,
როცა გვიყვარს და როცა ვპატიებთ.
უცნაურია.
ჩვენ ხომ ღმერთი ვართ.
დროსთან თამაშით,
შროშანს და იებს

ყვავილთა ჩქამით, როგორც ყველა წამს
ერთმანეთს ვჩუქნით, ერთმანეთით ვართ,
სინათლის სიჩქარეს დროც, რომ ნელა წნავს
მივართვი ფიქრი. მე მათქმევინა

ფიქრმა სიტყვა და სიტყვამ კი რაღაც,
რაღაცა ჯერაც შეუცნობელი,
რატომ არ გჯერა,
მიყვარხარ ახლაც,
ჩვენ ხომ ღმერთი ვართ.
გითხრა რომელი...?

პოეტის წიგნი იბესტსელერებს?
ზედ დაედება ჯილდოდ პრემია!
ნობელის გნებავს,
იმედს ვტოვებ მეტს,
მეტს არც მოველი,
დროსაც ზედ მიაქვს
წამები ზურგით მიაქვს და სადღაც

ერთად აგროვებს ჩვენდა საუნჯედ,
მელნით ქაღალდი სულ გავალურჯე,
მინდვრებსაც ქარებს ვინღა დაუჭერს,

ამბად გავები მთქმელთა მახეში,
ამპარტავნების ზნე არა გვცხია,
სტუმრად ვეძებდი, თურმე ვნახე შინ,
ღმერთის გზავნილი ინფორმაცია,

შეტყობინება,
შენც მოგინდება,
ტბებსა და ტყეებს უცხო პლანეტის
ღამეც დაუფრენს ფოთოლთ ფიქრებად
მე სულთან ერთად
გულს რომ ვახელდი

მაშინაც ასეთი შეგრძნება მქონდა,
უცნაურია
ჩვენ ვართ ღმერთები,
ვერთობით თამაშით,
თამაშით დროსთან,
მე არაფერს გთხოვ,
არ გევედრები

ყველაფერს მივხვდებით ადრე თუ გვიან,
რა საიდუმლოს მალავენ ტბები,
ჩვენ სახელები მნათობთა გვქვია
და ერთმანეთის სინათლით ვტკბებით.

*11 ივლისი 2010*





## ის მე ვერ მხედავს

დღეს ცოცხალი ვარ.
ვერა...
ვერ მხედავს...
როცა მოვკვდები, ფიქრობს შემამჩნევს?
რა შუაშია...
წინათგრძნობა მაქვს,
ისიც ჩემხელა,
ასჯერ დაფლეთილ ყველა ჩემ ნარჩენს

ერთ სხეულში კრავს და
ერთი ნიშნით,
თითქოს გამომყოფს და
გამომავლენს,
ის ვერ გაიგებს, ჯერ ვერ გაიგებს,
რადგან ვერ მხედავს,
ამდენს, ჰო, ამდენს,

როგორ აიტანს, გინდ კაცი...
გინდ ქვა,
და გინდაც კვამლი და გინდაც
ფერფლი,
როგორ გაკეთდა ან როგორ ითქვა,
როგორ და...
გეტყვი, ოდესმე გეტყვი,

თუ კი ვისურვე, რომ დამინახოს,
ჰო, სწორედ იმან ვინც მე ვერ მხედავს,
უკვე მსურს თავი გადავინახო,
უკვე ვანსხვავებ მთელს და ნახევარს,

მაგრამ სურვილი სურვილად რჩება,
თავს მე არასდროს, არასდროს ვზოგავ,
ჩარჩნი რჩებიან რადგან ჩარჩებად,
მოგზაურნი კი გზას აგრძელებენ.

*15 ივლისი 2010*





## სიცარიელე

***ზონა 51 — ადგილია ამერიკაში,***
***რომელიც რუკაზე არაა.***

ახლა ვგრძნობ სიცარიელეს.
დიდსა. დიდსა და ნათელს.
სიცარიელე ელავს. ანათებს.
სადა ვარ. ვინ ვარ.
რა დამანათლეს.

როდის მომნათლეს, ან რა ასაკში,
ან რა დღე იყო, მე სად ვიყავი.
სიცარიელეს ახლა ისე ვგრძნობ,
თითქოს ხმა მესმის, ძველი,
იმხანის,
როცა სამყარო, ახალშობილი,
თავისი მშობლის მკლავებში იწვა,
ჩასძინებოდა, სიზმარს ხედავდა,
ჩვენ საიდანაც გავჩნდით ამქვეყნად,

ახლა რასა ვგრძნობ? ისევ და ისევ,
სიცარიელეს, თითქოს უსასრულოს,
თითქოს მანათობელს, რა სხივებია..?
მინდა გისახსოვრო და მძივებიან
ძეწკვს რომ გჩუქნიდი, მაშინაც ასე,
ვგრძნობდი შუქებს და სიცარიელეს
და საჩუქარის ჰანგმა დამნიშნა,
სწორედ ის ჰანგი მიმადლიერებს,

კავშირებს თქვენთან, ჩვენსა და
თქვენს შორის,
ჩვენსა და თქვენ შორის
მე გზა მოვნახე,
მანდედ ელავენ სულნი პირმშონის,
მანდე დღეს თავი, როგორც მოახლეს,
რომ ხელი გახლო, თავი გისახსოვრო,
მე შენ აქყოფნას ისევ ვისურვებდი
და სამახსოვრო ის დღეც ვის ახსოვს,
სხივს რომ ჩააწობდა სხივი სხვის
გულებში,

სხვათა მოსაძებნად, სხვათა გასაგონად
მე ხომ ჩემი ხვედრი წყალით დამანათლეს,
სიცარიელეა. სიცარიელეა.
ნათელში ნათელს და ისევ ნათელს
სიცარიელე გაუელვდება,
სად ცა იელვებს ამ გაელვებით,
ახლა ასე ვგრძნობ, სხვათა ვედრებას
გადავაწყდები, გადავევლები,

სისხლის წვეთებად თანავარსკვლავედის
და როგორც კრავი, ზვარაკ-საკლავი
თუ შესაწირად წამი დამკლავდეს
გააუკვდავებს წამიც სხვა რამდენს
ვინც ის ნათება ნახა აქამდეც





და გადაიქცა სულიდან სულში,
გარდაისახა, გახდა სიცოცხლე,
მე რომ ვიცოდე
სევდაზე დიდი
რატომ არ არის სხვა საიდუმლო,
სიტყვას მოგცემდი,
დაგპირდებოდი
და მაინც უფრო
და მაინც უფრო
განუგეშებდი ყველაზე მეტად.

*16 ივლისი 2010*

## სევდა ლერწამთა

როცა სახლში ვარ, არაფერს ვაკეთებ
და თითქოს სტუმარიც არ მყავს...
ერთი შეხედვით,
მე ვიტანჯები, მე სევდა მიპყრობს,
თუ ისევ მოგნახე,
თუ ისევ შევხვდებით,

როგორმე თავს ხელში ავიყვან გეტყვი,
რა მემართება, რა მკლავს, მაცოცხლებს,
ძვირფას თვლებს ვაცვამ და ოქროს
ძეწკვით
ნიშანს დავიდებ მკვდარ-განაცოცხლებს

და ამოიცნობ ჩემი აქყოფნის
ჩემი აქყოფნის ერთადერთ მიზეზს,
სუნთქვა არ გყოფნის?
სუნთქვა არ გყოფნის?!
სულის გამყოფი წამის ხმას ვიგებ

და გული მწყდება სიკვდილისათვის
და გული მწყდება სიცოცხლისათვის,
სევდა ყლუპებით მივირთვისავით
და საზეიმოდ ვიცოცხლესავით,





ის ვინც შენ გწამდა, თითქოს მეც მწამდა,
აკი აცილდა სულიც ნიადაგს,
აციმციმა სევდა ლერწამთა,
ცა, რომ ვარსკვლავებს სიზმარს მიადგამს.

*17 ივლისი 2010*

## წვეთი

მე მაქვს არჩევანი.
ან უნდა წავიდე.
ან უნდა დავრჩე.
არ ვიცი რა ვქნა.
– წადი თუ გინდა,
თუ გინდა დარჩი, –
შენ მეუბნეზი.
დავიცდი.
მართლაც

დავიცდი ერთ საათს,
ამ დროს შენ გჩუქნი,
ამ ერთ საათში
სიცოცხლეს მოვასწრებ.
თითო წვეთსა აქვს
სამყარო გულში,
წვეთად ჩატეული,
ზღვა, რომ მოსავს
წვეთს,

თავისი თავით,
განმარტოებით,
გულთმისანია,
გულთმისანია





და ამ ლოდინში
წვეთს ვეუბნეზი
მე და შენ ერთი
სულისანი ვართ.

*21 ივლისი 2010*

## კვალი ოთახში

ჩრდილებს
უჩინართ
კვალი
აენთოთ
რას არ
დავთმობდი
მათ
სანახავად
იქნებ
ამქვეყნად
იქნებ
საერთოდ
ან არ
ვიყავი
ან აღარა
ვარ
და
საიდუმლოც
თავს
რომ
მიშლიდეს
შენს
გულს ენება
კრთომა
ფერებად
შუადღის სიჩუმეს





და მის
სიმშვიდეს
ნელსურნელება
ესურნელება
მე
დღე და
ღამე
მესმის
შენი
ხმა
ხმას
კვალს
ვერ
ვუშლი
რაც
უნდა
ვერ
ვხსნი
და ჩემ
ოთახში
ფარდა
შეირხა
აკვარიუმში
გაცურდა
თევზი.

*21 ივლისი 2010*

დავეხსენი
სიზმარს
როგორც
ეგვიპტე
და
ისრაელი
შუადმყოფი
მე
ზღვა
მომწონს
ვინ
რა
იცის
ვის
რა
ელის
ვინ
რა
იცის
ვინ
სად
როგორ
როდემდე
ან
რატომ
რისთვის
ოღონდ
მორჩეს





მორჩეს
ოღონდ
ჟამთა
ბოდვა
გადამისვრის
სხვა
დროების
სამყოფელში
სხვა
ხალხებთან
სხვა
ერებთან
ასხმა
თავსხმად
წმინდა
მძივთა
სამ
სოფელს
შლის
სამს
ენება
გამხდარიყო
ერთად
ერთი
სამი
არის
ერთი
ვიცი

ზღაპარ
იყო
ზღაპარ
იყო
სამყაროსთან
ერთად
იწვის
სული
ჩემი
არსი
ჩემი
არსებობა
ყოფნა
ადრე
და
თუ
სიზმარს
ძილი
შვენის
და
ღამეც
თუ
ჩრდილებს
ანთებს
ამოვხსენი
საიდუმლო
ნამით
უფლობს





უფლის
ოფლი
სისხლად
მნათი
წვეთ
წვეთ
სხივთა
ათინათებს
რამდენს
მოვთვლი
აქ
ინათებს
იქიდან
და
თანდათან
კი
ისევ
ქრება
სხივნი
დადნენ
თითო
წვეთში
წვეთნი
იქცნენ
ძვირფას
ქვებად.

*8 აგვისტო 2010*

თან
დაცხა
და
თან
აცივდა
მომღერალნი
გაყვნენ
ყრუებს
ვერ
გატყუებ
და
არც
მინდა
რომც
მინდოდეს
ვერ
გატყუებ.

*8 აგვისტო 2010*

მომენატრე. მომე ნატვრა.
შენი სიზმრის მომენატრა
ხილვა მე.

*19 აგვისტო 2010*





## სიახLOVE

შთაბეჭდილებად რამე ახალი
მე დამჭირდება შენთან სიახLOVE
და თუ შევწყვიტე ფიქრი გნახავდი,
ჩემი სიცოცხლე დღეს სხვას ვათხოვე,

მახსოვს დღეები და ადგილები,
მე ყველა მიყვარს, თუ ვინმე მახსოვს,
თუ ჩემ სიყვარულს დავაკვირდები
აქვე გიპოვნი და აღარასდროს

აღარ ვინანებ რომ აქ ვიცხოვრე,
რადგან სიტყვებიც აზრებს კარგავენ
და სიჩუმეა ალბათ იმ დრომდე,
როცა კი ვხვდები ალბათ კარგად ვერ

ვერ დაგივიწყებ, ისევ მიდის დღე,
მართლაც რომ ბევრნი წავიდნენ უკვე
და მათ შემყურეს არ გაგიკვირდეს
აქ დიდხანს გავძლო, ან გზას გავუყვე

და თუ კი სხვები ჩემს მერე მოვლენ,
ანდა ჩემამდეც უკვე წავიდნენ,
ჩემ სიცოცხლეში ვისაც კი შევხვდი
მე ყველა მიყვარს, ყველა წამითვე.

*21 აგვისტო 2010*

## ზოგი რამ რჩება აქ სამუდამოდ

როდიდან არ მახსოვს მე შენ მიყვარხარ.
დრო ჩქარა გადის, მორჩა, დამთავრდა.
ბევრი მატარა, აქ მომიყვანა,
ჩემმა სიცოცხლემ, ჩემივე თავთან,

დამაახლოვა, დამაშორისა,
ჩემი შემხვედრნი, ბევრნი მეკვლენი
და სხვა გამვლელნი, მეც მათ შორის ვარ,
მათ სახეებში მე ვირეკლები.

ზოგი იცვლება და ზოგი მიდის,
ზოგი რამ რჩება აქ სამუდამოდ
და მათ სახეებს, ლეგენდა, მითი,
რა ვაჩვენო და რა დავუმალო,

თუ კი ჩემსავით შენს თავს შეხედავ,
გაიგებ, სახეს როდის იცვლის დრო
და აღარ ვიცი ჩემთან შეხვედრა
მოგილოცო თუ მოგისამძიმრო

და უტკბილესო ჩემო მეგობარო
შენ ვერ შეგადრი ვერსად ვერავის,
სული დაგიტოვო, გული მოგაბარო,
დასასრულისკენ ყველა დღე გადის.

*22 აგვისტო 2010*





## როგორც უწინ როგორც ადრე

შვიდ გზას ვხედავ, ისევ შვიდ მთას,
როგორც უწინ, როგორც ადრე,
ზღაპარს გული დაუმშვიდდა,
მომეფიქრე, მომენატრე,
შვიდივე გზას კვლავ დავადგე?
შვიდივე მთის მწვერვალისკენ?
როგორც უწინ, როგორც ადრე
მინდა შენთან, ვერსად ვისმენ

შენ სიტყვებს და შენ სიჩუმეს,
მე დრო არ მაქვს შვიდჯერ ხვეწნის,
ნატვრისფერი დავილურჯე,
ნუთუ ჩემი მართლა გესმის?
ნუთუ იცი მე რა მინდა
და არც მინდა იქნებ რამე,
გზად ზის გიზის პირამიდა
შვიდივე გზით შვიდი მთა მე

რატომ მიხმობს, როგორც უწინ,
როგორც ადრე ძველი ზღაპრით,
ოქროს მტვერი ოქროდ სულ წვიმს,
ჩემ მტევნებზე დავიზღაპრე
თითო თითო წვეთი ოქრო,
თითო თითო გამოცანა,
რად ვადროვე სიმარტოვეს,
გამომშიგნა, გამომცალა,

სული გამიცარიელა,
ჩემი სული განა მე ვარ?
ელვის კრთომაც წამიერად,
სუნთქვასავით გადამდებად,
გადამევლო ღამით თავზე,
როგორც უწინ, როგორც ადრე,
ცას ღრუბელიც აღმა ასდევს,
მომეფიქრე, მომენატვრე.

*2 სექტემბერი 2010*





## სევდის ნიშანი

ჩვენი სიახLOVE, სევდის ნიშანია.
ამბებს ვიგონებთ. ჩვენ ნამდვილ ამბებს.
მე გზად მეგზურნი ვიშოვნე,
მათ საუბარი ჩემთან გააბეს,

ჩვენი შორეთით დღენი შევავსეთ.
ხან მართლები ვართ, ხან ვიტყუებით.
შენც რომ მენახე გეტყოდი ასე
რითმიდან გასული სიტყვებით: -

წუხელ სიზმარში მოგძებნე. ფრენდი.
უწინდელივით დროსაც ბევრს ვხარჯავ,
ჩემი ვარსკვლავი გფარავდეს. ღმერთით.
გფარავდეს. შენთან სულს ვატან.

იქნებ მოგისწროს, წამოგეწიოს
და იქნებ შევხვდეთ როდისმე, სადმე,
თითქოს უკვდავთა წყარო ვიწვნიე,
თურმე არავის არაფერს ვავნებ,

თურმე არაა არსად სამოთხეც,
თუ ის სამოთხე ჩვენში არაა,
თითქოს ხეს ვგავდე ფესვებამოთხრილს,
როცა აქ არ ხარ, ფიქრიც მზარავს და

თუ სანატრელნი დღენი არ მოვლენ
და ღამე რჩება ვარსკვლავთვალება,
მე იმ ღამისას გისიზმრებ ხოლმე,
მაგრამ ის ღამეც მალე მთავრდება.

*4 სექტემბერი 2010*





## სევდა წყალთან

მიდი, ზღაპარი მიამბე,
ერთი, რაიმე, ძილისწინ.
ყველა ჩემი დღე მძივია,
შებმული საუკუნეზე.
დრო და დრო შეიცვლებიან,
დრო და დრო ღმერთი
მძივებს ცვლის,
მე სამჯერ მეტი მივლია
ვიდრე თავს განვიკურნებდე.

დარჩნენ დღეები უერთმანეთოთ,
გრძნობანი მოისადავეს,
მოდი ჩვენ, ვიერთმანეთოთ
საბანი გაგვწვდეს სადამდეც.
ავიმსუბუქოთ სიმძიმე,
თვალმარგალიტად. სახატედ.
სიზმრებთან გადავიძინე,
თითქოს წყლის წვეთზე ვხატავდე,
სამყაროს სიცარიელეს,
საბადო ვიცი წყალბადის,
შენ ღამით ნისლებს მიეგე,
მე რიჟრაჟებმა დამბადეს,

მატარეს მამაჩემისგან,
ზღვის გავლით, დედაჩემამდე,
მატარეს საიქიოდან,

აქამდე, სააქაომდე,
ახლა კი ასე ძალიან
მინდა ამაღამ აქ დავრჩე,
ძილისწინ ასანთი გაკრა,
მე კი მას სუნთქვით ვაქრობდე.

*4 სექტემბერი 2010*





## წასასვლელი ვარ

წასასვლელი ვარ. როგორ არ მინდა.
შენ, რომ იცოდე, როგორ არ მინდა.
მე შეგიყვარე სიცოცხლესავით,
მაგრამ ახლა კი, წასასვლელი ვარ.

სხვა ქვეყანაში და სხვა სიზმარში,
თუ ისევ გნახე, თუ ისევ შევხვდით,
მე სათაურებს ლექსებს მივაშლი,
უსათაურო გავხდები შენთვის,
რომ ვერ მარჩევდე ველარავისგან,
რომ მე სიტყვებშიც ვერ ამომიცნო
და თუ მწვერვალზე ველარ ავიტან
საკუთარ სახელს, ბილიკებს ვიწროს
თუ ვერ ავივლი და დავეცემი,
თვალს უიმედო მოთქმით დავივსებ,
შენ მანუგეშე თითქოს ნაცემი,
ნება არ მომცე დავეცე ისევ.

*5 სექტემბერი 2010*

## ჩემი თავისთვის მე სულერთი ვარ

მოვეშვა უნდა, ვეცადო ვიგრძნო
თავი ამქვეყნად, კაცი რამდენ დღეს
გადაიღამებს, დილიდან წვიმს რომ
დამაწყნაროს და გაცისარტყელდეს,

როგორმე უნდა ვიღონო რამე,
ჩემი თავისვე ამოსახსნელად,
ვარსკვლავებს რაც სურთ იმას მიზამენ,
თუ გინდ დამტოვოს ჩემმა სახელმა,

მეტროთი ვივლი, ტაქსით, ან ვიფრენ,
ან თუნდაც ბენტლი მიცდიდეს კართან,
ჩემი თავისთვის მე სულერთი ვარ,
გკარგავ გპოულობ, გპოულობ გკარგავ.

*7 სექტემბერი 2010*





## JONATHAN LIVINGSTON SEAGULL

თოლია სახელად
ჯონათან ლივინგსტონ,
ცის მწვერვალიდან
ისევ მეძახის,
დღეს მე ვარსკვლავი
უნდა მივიღო,
მუსიკად ვისმენ
თითქოს მის ძახილს,

ზღვა ღამით გაქრა,
მთვარით დღე ღელავს,
სამყაროს დავკარგე
აღქმაც სრულიად,
დიდოსტატისთვის
არის პეპელა,
რაც მუხლუხოსთვის
აღსასრულია.

*7 სექტემბერი 2010*

## მოჭრა ღამემ მთვარე მორჩა

მოჭრა ღამემ მთვარე, მორჩა, აღარაა მთვარე ღამით, ჩემ ფანჯრიდან სხვა დრო მოჩანს, შუაღამე გავიყავით მე და ჩემმა თავმა ორად, ერთმანეთის გვერდი გვერდ ვართ, უშენობამ დაგვაღონა, სევდანარევ გაღიმებად, აზრი აზრმა შეგვიცვალა, ყოფნა გვინდა გააზრებით, მაზიარა ტყუპისცალთან, საიდუმლოდ განვზავდები, მასში როგორც სხივზე წვეთი, როგორც სიტყვა სიჩუმეში, გაიბნევა თავი ჩემი, ღამით ვთვრები, მე თუ მერჩის, სასიკვდილო გაბრუება, შენზე დაგეშილი ვნებით, ხმად სიჩუმეც დაბრუნდება, შენ ხმას ჩემში გავივლებდი, მაგრამ ახლა ღამემ მოჭრა მთვარის მსგავსი სხვა მნათობნიც, მოჩანს მთვარის ბნელი მხარე, ერთი ყლუპით დავათრობდი, შენ გონებას, აქ რომ იდგე, გაოგნება მაქრობს ვითომ, ზოგჯერ ჩემთვის წარმოვიდგენ, რა მოხდება აქ რომ იყო.

*8 სექტემბერი 2010*





## სიახLOVE სიSHORE

რაც უფრო შორს ხარ, ამით ვერ ვტკბები, მით უფრო ვკვდები, როცა შორსა ხარ, ქვებიც ვაგროვე, გავფანტე ქვები, მე ერთმა მგზავრმა გზად მომაძახა, რაღაც გრჩებაო, ჰეი, მოიცა, სად გეჩქარება, რა ხდება, STOP! ჩემ წინ შეერთდა თითქოს ორი ცა, ეჭვს არ ვიკარებ, ეჭვებს იქვე ვსპობ, პირდაპირ ტვინში, იქვე, იმწამსვე, როგორც კი ვხედავ რომ აღარ ჩანხარ, ყველა წინ წამსვლელს მე სულ გზას ვუთმობ, ახლა მეც უკვე შორსა ვარ რახან, აქ კი ჩემ მეტი არავინაა, არავინ, არავინ, საერთოდ არავინ, გამოგიტყდები, გვიან არაა, გპარავდი, გპარავდი, შენ თავს გპარავდი და ვიმალავდი ყოველთვის ჩემში, შენ კი გეგონა სამოთხეში ხარ, ახლა ვუჩქარებ ისევ ნაბიჯებს, ქვაღორღიანს და ქვიშით ხრეშიანს გადავაბიჯე გზასაც და გზებსაც, შენი სიშორეც უკან შემომრჩა, ხვალ სად იქნები იქ უკვე დღეს ვარ, ბგერებს ვიფერებ ყვითლად და ლურჯად, შენ გამიფიქრე და შენთანა ვარ, მე დროს ვაჯობე, სხვა რამ ვიშოვნე, ახლა სიშორეც აღარსადაა, ჩვენ სიახLOVE-ს მყოფი სიSHORE.

*11 სექტემბერი 2010*

## აქ შუქს ანთებულს დავტოვებ

როცა დრო მოვა იქით გადაფრენის,
აქ შუქს ანთებულს დავტოვებ.
ეცადეთ ის არ ჩააქროთ,
სხვებიც ნახავენ, არა მარტო მე.

*11 სექტემბერი 2010*





## ხელები

რაც მოხდა მოხდა, ჯანდაბა ამას, რაღა გაეწყობა, ვეცადოთ ისევ, თავს ხან დაბლა ვხრი, ხან მაღლა ამაქვს, ისეთი რამ მაქვს ვერ წარმოიდგენ, როგორც შეიძლება ზოგჯერ გაიფიქრო, რა მოხდებოდა შენ შენ არ იყო, კედლებს მივასკდე აქეთ იქით რომ, დილით მამალმა არ დაიყივლოს, განა იცვლება ამითი რამე, მაგრამ ჯანდაბას, რაც მოხდა მოხდა, ათასი ღამე გადავიღამე ერთთა ხვედრია და არა ორთა, ათასმეერთედ მოყვეს ამბავი და ყოველ ჯერზე თავიდან მოკვდეს, ხელებიც ათასჯერ გადანაბანი სიკვდილის ნიშანს მიტოვებს ხოლმე, როცა კი ვხედავ, როცა კი მესმის, სახე ქერუბიმს, სახე სერაფიმს, როგორ უნათებს ცხრა ფრთით ან ექვსით, ზოგჯერ ჩემამდე სიზმარს დღე აფრენს, მაშ რატომაა ზღაპარი ასე, ამ დასასრულით გადაწერილი, სიცარიელე სიტყვებით მავსებს, მე მაქვს წერილი, ღამით ან დილით, გადავიკითხავ, გადავისუნთქავ, ყოველი სუნთქვა მივსებს სასულეს, სამყარო იცვლება, ანდა ვის ვუთხრა, რაც დაწერილა რომ არ აღსრულდეს, ისე კი მართლა, შენ როგორ ფიქრობ რა მოხდებოდა ღვთის ანაბანად, პილატეს ხელები ასე საჯაროდ, ღმერთის თვალწინ რომ არ დაებანა.

*12 სექტემბერი 2010*

## თუ გინდა გეტყვი

მოგეხმარები, გინდა? ამოგახსნევინებ, ერთ საიდუმლოს, მე ხმა მომესმა შენი, მგონი მეძახდი, ღმერთი სამს უფლობს, სამ თავის სახეს, სამჯერ უთვალავს, თუ გინდ ვანებოთ ამ ღმერთსაც თავი, გახსოვს დღემ ღამეს რა შეუთვალა, როცა ვარსკვლავნი სულ გადავთვალეთ, თუ გინდა გეტყვი ცეცხლი სად ქრება, ან როგორ ჩნდება ჩვენ ტვინში სიტყვა, ვისაც ვპატიებ ის მე ვერ მხედავს, ვინც მე ვერ მიტანს ის უფრო მიყვარს, თუმცა არ არსებობს "უფრო" ან "ცოტა", მიყვარს და მორჩა ეგაა სულ, თუ გინდა გეტყვი რაა სიმარტოვე, ან მარტოობაც მე განა მსურს? თუ გინდა გეტყვი ჭეშმარიტებას, გაგეცინება, თუ მას გაუძლებ, ზუსტი სიტყვისთვის დრო არ მჭირდება, როგორც სამიზნე, კოლტს ან მაუზერს, თუ გინდა გეტყვი ჩემ სახლის ნომერს, ან ჩემ ტელეფონს ან ჩემ იმეილს, თუ გინდა კითხვები ახლავე მომე, რასაც დავიტევ მარტო იმდენი, მარტინ იდენი გემახსოვრება, გახსოვს რას ამბობს როცა თავს იკლავს? შენ გაქვს იმედი, შენ გაქვს ოცნება, სიავე ჟამთა, ჟანრის კლასიკად თუ გინდა გეტყვი ერთადერთ სიტყვას და გავჩუმდები, თავს დაგანებებ, დღეს ღამე მიჰყვა, ღამეს დღეს მიჰყვა, მერიდიანებს ანდა განედებს გადაეფინა შუქი და ჩრდილი, მათ დამიტოვეს რაღაც სახსოვრად, ისე აღმოჩნდა მე როგორც ვთვლიდი, შენი სიტყვა ვარ სანამ გახსოვარ.

*13 სექტემბერი 2010*





## სწორედ ის

ზეგინდელ ამბებს სიზმარი დღეს მწერს, ნისლის სამოსი მინდვრებს აცვიათ, ახალ სამყაროს და ახალ ლექსებს და ახალ ცივილიზაციას, ვხედავ, ვიაზრებ და წარმოვადგენ და შენთან მომაქვს, გჩუქნი შენია და გლობალური მზის დათბობამდე, მე დაგათბობდი, ლურჯი მტვერი აქვს, შორეთის სითბოს, ახლოდანაც ჩანს, დააკვირდები დაგენახება, წყლის ერთმა წვეთმა უხმო დანარჩენს, მდინარეების ახალ არხებად, მე გზას მოვიკვლევ შენ გონებამდე, შენთან რომ ვიყო მთელი ცხოვრება, მთელ ჩემ სიყვარულს შენ მაგონებდე, შუქი ღიმილზეც გეცისკროვნება, ჩვენ ხომ სამყაროს აღსასრულს ველით, ის კი არ დგება, ან უკვე მოხდა, მე ნატვრა დამრჩა დღეს სასურველი, თუ აღმომხდება სანუკვარ ოხვრად, მას გადავაქცევ ამომღერებად, წარმოიდგინე შენ ხარ ვითომ მე, სხვა ათასწლეულს სხვა დრო ენება, თუ შენც ინებებ თავს დაგიტოვებ, ერთი ფესვით დგას ზოგჯერ ორი ხე, კოსმოსისხელა სხივი აქვს დაისს, სწორედ ისა ხარ ვინც მე მგონიხარ და თუ არა ხარ, მიყვარხარ მაინც.

*14 სექტემბერი 2010*

## 16 სექტემბერი 2010

დღეს შეგხვდი პირველად, სიშორე გაქრა,
დროც სადღაც გაქრა, გაქრა სიმორცხვე,
დრო ძაფს გავს ირღვევა, გემის ჩანს აფრა,
ნაპირზე ნიშანს ახლა ის მომცემს,

მან მე მომაგნო, ან თავად ვიხმე,
ცა მუსიკას გავს და ცისქვეშეთიც,
ის ძველი ნატვრა ასრულდა იქნებ,
ჩვენ რომ ერთმანეთს სწორედ დღეს შევხვდით.

*16 სექტემბერი 2010*





## მე ვარ კახეთში

მე ვარ კახეთში და მიხარია
და მიხარია, რომ ვარ მართალი
და უკვე დიდი, დიდი ხანია
სიჩუმე სიტყვად გადანათალი

ჩემში სულდგმულობს, როგორც
საუნჯე
და ეს საუნჯე სიმშვიდეს მოგავს,
დღეს დედამიწა გადავალურჯე,
დღეს გადაიწვა კავშირი დროთა,

დიდმა ხანძარმა მე დამატყვევა
და წელთაღრიცხვა ღამით დავთვალე,
აქ სიჩუმეა ყოვლისმეტყველი,
აქ ყველა სიტყვა არის მართალი.

*18 სექტემბერი 2010*

## შვიდი ღამე და ორი დღე

*(დღევანდელი ჩემი მისამართია 3,4,5,6,)*

ჯანდაბამდეც გზა მქონია, თუ შენამდე ვერ მოვედი, თუ ვერ გნახე, ვერ გიპოვნე, დროს სად მიაქვს თვე თორმეტი, ზუსტად ასი საუკუნე, დასასრული, დასაწყისი, სიკვდილს სულში ვინც უყურებს უკვდავების ხდება ღირსი, ზეცის სხვენზე ვარსკვლავი ჩანს, მე იმ ვარსკვლავს შენშიც ვხედავ, დროს წამები სცვივა გირჩად, ნაძვებს როგორც, ყველა მხრიდან, სცვივათ სევდა ზამთრის ბოლოს, მწიფდებიან ზაფხულობით, შენი ხმა მსურს გავიგონო, დღეს ლექსივით დავბოლოვდი, ბოლო სიტყვა გახდა ჩემი, წყურვილს მიკლავს პირველწყაროდ, ჩემ ნაპირად ზღვა თუ გშვენის მსურს ტალღებიც მივაწყნარო და ზღვის იქით და ზღვის აქეთ, ვიმდიდრებ თუ ვიმათხოვრებ, მთელ სამყაროს გადავძახე ერთი სიტყვა – სიახLOVE, ყურთ ვინც იღებს იმას ესმის, შვიდი ღამე და ორი დღე, 3, 4, 5, 6, მე შენამდე გზას მოვიკვლევ.

*20 სექტემბერი 2010*





## ლოგიკური აბდაუბდა

გამაოცა ხმამ სიზმრების, მილიონმა, მილიარდმა, მე ხომ ჩემ თავს ვესიზმრები, მაგრამ თავის ჩრდილი არ ვარ, თუ ჩრდილი ვარ ღამით ვივლი, კომპიუტერს ვირუსი აქვს და შტატების დიდი ხიბლიც რჩება ნატვრა ილუზიად, ან არცერთხელ ან მრავალჯერ თავი უნდა დავიბოლო, რა არ ხდება ქვეყანაზე, მედვედევთან დაჯდა ბონოც, ან მედროვემ ვის ადროვა, დარდის დრო მაქვს განა ახლა? ზედვე ედო ღვინოს პური, დააძველა განაახლა, წუთმა წუთი, წამმა წამი, თავიც თითქოს დავისაჯე, დროც უდროოდ გავაწამე, თუ დავიწყებთ თავიდან ჩვენ ერთმანეთის გამოცნობას, ათასიდან ერთს რომ ვიცნობთ, მაშინ როგორც საოცრება იქნებ ნატვრაც ახდეს თვითონ, თავისით და უნებლიედ სამყაროც რომ შეიცვალოს, აბდაუბდა გახდეს ბუდა, ან და ბუდას აქ რა უნდა, აქ პრინცს აზრი აბნევინა იმ ჯამბაზის თავის ქალამ, ნირვანაშიც კობეინმა თავში ტყვია დაიხალა.

*23 სექტემბერი 2010*

## UNIVERSAL

სიახLOVE — სამყაროთა უნივერსალური ხედვა, მათი გავლით წვეთნი ხელზე, მეცემიან, ქაღალდს ხევდა, თითქოს ქარი, ღამეს ელვამ, როცა გაკრა თავის მხარი, ჩამოვიდნენ წვეთნი ყველა სამყაროთა შორის გავლით, უსასრულოს მართლა ვიტევთ, ნუთუ ელვამ დაიჭექა, ვარდს და შროშანს, სუმბულს ტიტებს, სურნელება რჩება ჩვენთან, როცა მათთან ახლოს ვდგავართ, მე ღვინო ვარ, ჭიქა შენ ხარ, ერთ მზეს ვხედავ ხანაც მრავალს, გინდ ღამეთა გინდაც დღეთა, ზეცის სახე ჩვენ ტვინში გვაქვს, სისხლში ყურძნის წვენი, ღვინო, გვსურს სამყაროს განაპირას, ვარსკვლავებმა დაგვაწვიმოს, საიდუმლო გაგვემხილოს, სევდა ღიმილს როგორ სდევდა, როცა რაღაც გვიხაროდა, სიხარულს ცვლის ისევ სევდა, მოზურმუხტო ბროლის სხივი, შენში წრეზე გარდატყდება, დროს არ ვკარგავ შენში ჩაღვრილ ყველა წვეთის დასათვლელად, შიგ სამყაროჩატეული და სინათლის წელთა გავლით, ღია ტვინით მჩატე გულით, ვმოგზაურობთ, მზეს ცხრა თვალი, დაეხუჭა, აეხილა, ატმოსფეროც შეზანზარდა, კოსმოსური იწვის დილა, აქრობს ფერფლს რომ მთვარის კართან დაემსგავსოს ბზარებს ღამის, მე შემოვლით გზას არ ვუვლი, სიახლოვის მიღმა ღნავის სამყაროთა აღსასრული.

*24 სექტემბერი 2010*





## მადლობა

ჩემო მფარველო ანგელოზო, ალბათ დაიღალე ჩემი მფარველობით, მოდი ერთმანეთს ისევ ავემგოსნოთ, მოდი ერთხელაც და მუდამ, მოდი. დრამა გათამაშდა, ფარდა დაეშვა, ფინალის სევდა უცნაურია, შევეთამაშე მეც თითქოს ეშმაკს, თითქოს ცხრა თვალი და ცხრა ყური აქვს და ალბათ ხედავს და ალბათ ესმის, ცხრაჯერ ნანახი, ცხრაჯერ ნათქვამი, მე და შენ შორის ხიდია ბეწვის, სხვა ჩვენი შემწეც არსად არ არის, ახლა პირისპირ ვდგავართ, გიყურებ, ღმერთიც აქვეა, ვგრძნობ ის აქვეა, მაგრამ ჩვენ შორის ჩადგა სიჩუმე, ღმერთს შენ ენაზე ნეტავ რა ქვია, სიჩუმე სიტყვებს ოქროში ავლებს, ედემს მორბოდა ბავშვობაც თითქოს, იცნობ პოეტებს და ფრესკის მხატვრებს და სვედენბორგსაც ვიცი რომ იცნობ და იცი რა არის ატომის შიგნით და უფრო შიგნით, კიდევ უფრო შორს, ან როგორია სიცოცხლის წიგნი, შიგ ჩვენ ვწერივართ? მონაც უფროსობს, ზოგჯერ ყირაზე როცა დავდგებით, შენ მე ველარ მცნობ, მე შენ ვერ გხედავ და გამარჯვებას ხმაც სდევს წაგების, მცირე ნათესნიც იქცნენ ვერხვებად, შენ დაგაბარეს ჩემი მფარველობა, გარდაცვალებას სიცოცხლით ვიწყებთ და ჩრდილს სინათლეც რომ დაეტყობა, წონასწორობა აღდგება ისევ, ახლა კი მინდა მადლობა გითხრა, რადგან ცხოვრების გზად დამემგოსნე, ყოველი სუნთქვით გალობდა სიტყვა, ჩემი მოკითხვა სხვა ანგელოზებს.

*26 სექტემბერი 2010*

## შენ ხარ ჩემი შინაარსი

შენ ხარ ჩემი შინაარსი. შენ ჩემში ხარ. სულ იყავი. სულ იყავი. შენ ჩემში ხარ, თიხა ვნახე, შიგ ჩავასხი, ღვინო, რაშიც პური ვაწე, ღამე მთვარით დღემზიანი და ღამეშიც სისხლით ნაწერ სიტყვებს სუნთქვით ვეზიარე, სუნთქვები კი გადაიქცნენ ყველა კითხვის პასუხებად, ფართე გზებიც გახდნენ ვიწრო, ბილიკებად, გზას უხდება, ზოგჯერ მგზავრი, ზოგჯერ მტვერი, ზოგჯერ დიდი სიმარტოვეც, უკანა გზა მოვიჭერი და წარსულთან მივატოვე. შენ ხარ ჩემი შინაარსი, სასიცოცხლო მნიშვნელობა, ჩემი თავი თავს წავართვი, ვის უყვარდი, ვინ გშვენოდა, ვისთან იდებ ახლა ბინას, ვინც შენი ხმა ილო ყურად, უფეხებომ გაირბინა ავადმყოფიც განიკურნა, შენ ხარ ჩემი შინაარსი, ნეტავ შენთვის მე ვინა ვარ, სიცარიელემ ამავსო, განმასიზმრა დროის დრამამ, გადის, გადის, დრო სულ გადის, ერთხელ წამითაც შეჩერდა, წამი დარჩა იმ სურათის სიმბოლოთა და ბეჭედთა, მთელი სახე რომ დაეტყო, სინამდვილეს, მას ვინ ახსნის და მუსიკაც დარჩა ექოდ, უსასრულო შინაარსის.

*29 სექტემბერი 2010*





## Skype-ით მიწერილი

სამყარო საშინელია არა იმიტომ, რომ შენ მე მღალატობ მეგობარო ჩემო, არამედ იმიტომ, რომ შენ შენივე თავს ღალატობ და ეს ბრწყინვალედ იცი.

ამის ცოდნაა საშინელება, რომ შენ საქმეს, სხვა ვერავინ, სხვა ვერავინ გააკეთებს. შენ კი თავს რომ უღალატე, ამით უკვე მეც მომკალი. ასე ვხოცავთ ჩვენ ერთმანეთს, დღე და ღამე, დღე და ღამე, ვერც დახოცვას ვერ ვამთავრებთ, დღე და ღამე, დღე და ღამე, მე არ გიქმნი შენ დისკომფორტს, დროს დღეები ან სად მიაქვს, ანდა აზრი როდის მოსპობს უაზროთა აგრესიას, შუქი ისევ იგვიანებს, შუქი ყველგან იგვიანებს, მოგონებებს, ახალ ამბებს, აღარაფრად მითვლიან მეც, თითქოს არ ვარ, არ ვარსებობ, რა უნდა ქნა კაცმა ამდროს, მოთმინებამ სამუდამო დავიწყებად განმაწესოს? რომ გავუძლო წინათგრძნობას, მომავლიდან აქ დანატოვს, იდეას და ყველა განცდას, მე კი არა თავს ღალატობ, სამყაროა საშინელი? სხვა სამყარო შენ არც იცი, განახებდი რომ გინდოდეს საიდუმლოს დედამიწის, განახებდი რასაც გინდა, მაგრამ ღირს კი რამე რამედ? ეჰ, ახალ დროს აითვლიდა, წელთაღრიცხვა, დავამთავრებ, მალე წერილს და წერტილით დავსვამ ჩვენი ყოფნის ნიშანს, რადგან სიტყვა დაწერილი, ჩემთვის უკვდავებას ნიშნავს.

*1 ოქტომბერი 2010*

## დავამთავრებ და ისევ დავიწყებ

დავამთავრებ და დავიწყებ, სიცოცხლეს, მარტო სიცოცხლეს, ისევ დაისის ნარინჯებს ვუყურო მინდა, ვიცოდე, ვიცოდე, მხოლოდ ვიცოდე, სხვა არაფერი ამაზე მეტი, მთელ ჩემ სიკვდილს და მთელ ჩემ სიცოცხლეს, ახლა შენ გიწერ, ახლა შენ გეტყვი, ახლა გაჩვენებ, ახლა გიყვარებ და ახლა გადის, გადის, გადის დრო და სწორედ ახლა, ამწამს, ამწუთას ბედისწერამაც უკვე გაგვისწრო, მე მესმის შენი, შენ გესმის ჩემი, ასე შორი შორ ასე ახლოს ვართ, სურნელით ყოფნის და გადარჩენის, შემომაბოლა თრობის ზარხოშმაც, თავბრუ დამეხვა და ჩამეძინა და აღარ მახსოვს სიზმრად ვინ შემხვდა, სიზმრად რა ვნახე, იქნებ მერჩივნა, იმ მდინარეთა, სხივთა, იმ ხეთა, ადგილი ჩემში კვლავ ჩამემალა, სად სიმარტოვეს თუ შენც ისურვებ, იცი, ვკითხულობ მე თავისუფლად, გინდ სხვის აზრებს და გინდაც სხვის გულებს, იცი რასა აქვს აქ მნიშვნელობა, იცი, შენ იცი, გინდ გაიცინე, გინდ მოიწყინე, დამემშვიდობა, დღეს დილით ღამე და შენთვის მძივებს, ახლა ვაგროვებ აქ მიმოპნეულს, ძვირფასი თვლების საბადოც აქ მაქვს, თუკი ოდესმე რამ მიპოვნია, სულ შენ გამსგავსებ, მარგალიტს, ქარვას, თუ გეყვარები მინდა ვიცოდე, შევენათები მიღმა ნარინჯებს, როცა სიცოცხლეს, მხოლოდ სიცოცხლეს, დავამთავრებ და ისევ დავიწყებ.

*7 ოქტომბერი 2010*





## გაამოს

ბედის მაცნეა შენი წინათგრძნობა, შენთან გზავნილი საბედოდ მოაქვს, გაამოს ნიავმა ახლა რომ ქროდა, ძველად განვლილი ახალი დროა, გაამოს შენმა დაბადებისდღემ, დასაჩუქრების აღფრთოვანებამ, მე შენ შესახებ ახლა შევიტყვე, შენ ყურს ჩემი ხმა ეხმოვანება, გაამოს საუზმემ, სადილმა, ვახშამმა და შესვენებამ სამუშაო დროს, გაამოს ძილისწინ ღამის სურნელმა, იმან გაამოს ვინც შენ გაგათბობს, ვინც შენ მოგხიბლავს, ვინც შენ აღგაგზნებს, სიჩუმეს გიმხელს საშიში ვნების და ხელისგულზე ბედის ნახაზებს, შეგიცხელებს და შენც გაშიშვლდები, შიში გაქრება ან შეიცვლება, შენ სიმხურვალე შიგნიდან დაგწვავს, გაამოს აზრთა ყველა იმ ცნებამ ვნება რომ დაფუფუქავს მათივე ნამწვავს, რომ გადაფერფლავს და გაშლი სხეულს და გაშლი ხელებს, თმებსა და პირს, ოდნავ შეაღებ, კანიც ისე ხურს, გაამოს ცრემლმა, შენში როცა წვიმს, გაამოს თავთან დარჩენის წამმა, განმარტოებამ და სისულელემ, სიბრძნეს რომ აქცევს უკულმა წალმა, გეამოს ნატვრა, თუ ისურვებდე, გეამოს შენივე კოცნა სხვისადმი, შენივე ყოფნა, წარმოჩინება და თუ კი მუნჯი ლაპარაკს ისწავლის, გეამოს სიტყვა, მთქმელს ხმა სჭირდება, ხმა რომ შენამდე მოვიდეს, დარჩეს და ყურადღება ყურით მიიღო, შენ იყურები, გესმის და ხედავ, მთელი

სიამით გსურს გაიღიმო, გაამოს, გაამოს, სევდაც გეამოს და სიხარულიც გქონდეს სიამედ და შენ-თან ვიყო ნეტავ მე ამ დროს, ბედის მაცნეც თუ დაიგვიანებს.

*8 ოქტომბერი 2010*





## ჩემი პოეზია — SUPERNOVA

გიახლოვდები ლურჯი ფერის ვარ, როცა გშორდები ვხდები წითელი, მიახლოვების შვება მეღირსა, ჭეშმარიტებასთან მიახლოვების, ის არ-სებობს და თან არ არსებობს, რა სისულელეა — შენ გაიფიქრებ, ჭეშმარიტება გაგიკვირდება, ის შენ თვითონ ხარ, რა იცი იქნებ... იქნებ იმ დიდმა, დიდ-მა აფეთქებამ რამოდენიმე სამყარო შექმნა, არა ეს ერთი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, არამედ სამყარო რამოდენიმე, რა იცი იქნებ კიდევ აფეთქდება, რა ჩაიფიქრა რა იცი ღმერთმა, ან სულაც ღმერთი არც იყო არსად, სხივები სინათლეს გამოდევნიდ-ნენ ცამეტი მილიარდ შვიდასი მილიონი ჩვენი დასათვლელი წლების წინდაწინ, დასაბამისკენ როცა მივდიოდი და ჩემი სულიც, როცა იქ დავწვი და ვარსკვლავების ეპოქა დადგა, მნათობს პოე-ზია, ის უკან მოვა, ის დაბრუნდება მშობელი ჩვენი, ფერადი სიტყვები და სუპერნოვა, ჩვენ წარმოვიშ-ვით და ვივარსკვლავეთ, ამიტომ მიზიდავს შენი ხმოვანება, იგივე ხმები აქვთ ირგვლივ ვარსკვ-ლავებს, შენც მათი მტვერი გეხმოვანება, ცამეტი მილიარდ შვიდასი მილიონი წლების წინდაწინ მი-მოფანტული, ბედნიერება გვერგება ჯილდოდ თუ სიმარტივეს არ გავირთულებთ, რადგან სამყარო გარეთ არ იყო, ის იყო შიგნით, ფიქრივით შიგნით და მერე იფეთქა, გახდა რა სიტყვა, წიგნის გვერ-დებად დღეებს რომ ვშლიდით.

*11 ოქტომბერი 2010*

## სევდა აღარაფრის

არ ვიცი რა ვთქვა. აღარ მეგულები. ჩემ სიახ-LOVE-ს აღარ მეგულები. არ მეგულები სასიხარულოდ და არც საწყენად არ მეგულები. მართლა არ ვიცი როგორ და რატომ, ან რას ვიმსახურებ დაუმსახურებლად, – “ნახე, ეს ბურთი მოგორდა დათო” — ბავშვობა მეტყვის და გზას გაუყვება. ჩემი ბავშვობა მწვანე ფერისაა და მუსიკა აქვს ისიც მომწვანო, ნუთუ მართლა სურს ჩემივე ახლობელს, პრინცის მამასავით ბაღში მომწამლოს, მე ბუნებრივად ვარ როგორც ბავშვი, შორიდან სურნელს თაიგულების, ფრინველივით ვგრძნობ, როცა ტანს გაშლის, შენ კი ჩემ გვერდით აღარ მეგულები და გული მწყდება, რაღაც სასიკვდილოდ, დაუბრუნებლად და სასიკვდილოდ, მსურს გავიცინო, ფინალის დრო მოდის, კოსმოსის ფსკერზე მსურს დავიძირო, სადაც ვარსკვლავნი ისევ მღერიან და საფინალო სიჩუმე მართლაც, თავის ხმოვანებით სულისშემძვრელია, აღსასრულამდეც წამები დარჩა. ყველა წამია ჩვენი სიცოცხლე, დროის საგულე და საუკვდავე, მე რომ ვიცოდე, ნეტავ ვიცოდე, რა მკლავს ყოველდღე, რა მაუკვდავებს, გეტყოდი, გეტყოდი, პირადად გეტყოდი, გაგიცხადებდი, გაგისიზმრებდი, ბროლის სხივებით, ზურმუხტის ორთქლით, დილის სიჩუმით, ღამის სიტყვებით. განსაკუთრებულს არაფერს





ვითხოვ და საერთოდ არაფერს, არაფერს ვითხოვ, ყველაფერს მიხვდები, სიყვარულისთვის, როცა დრო მოვა, დრო მოვა თვითონ.

*17 ოქტომბერი 2010*

## თეთრი პერანგი

თეთრი პერანგი ყოველთვის გაცვია, შენ თვითონა ხარ თეთრი პერანგი. ღმერთი ჩემ წინ დგას შენა ხარ ღმერთი, ვერავინ ხვდება? ნუთუ ვერავინ? მეც ჩემ პერანგებს ხელით ვკერავდი, ნაჭრებს ვჭრიდი და ხელით ვკერავდი და ვერასოდეს ვერავინ ამჩნევდა, შენ რომ გმოსავდა ჩემი პერანგიც, ღილების ნაცვლად ვადებდი ხოჭოებს, სახელოებს კი ვქარგავდი სხივებით და თუ სინათლით სულს მოვიხვეჭავ, მეც შენ თეთრ პერანგს განვესხივები, რადგან ჩემთვის მაქვს ზუსტად ეგეთი, ეგეთი თეთრი და გამჭვირვალე და სიზმარიც გავს ზოგჯერ აბრეშუმს, თავისი სინაზით მას ვემჭვირვალე და მოვიხიბლე როგორ მომერგო, რა ერთნაირი ბედი გვქონია და კიდევ ბევრი, ბევრი მომე დრო, სანამ აქა ვარ და ცას ბროლიანს, რომ ავაკვირდე, ტვინი ამეწმინდოს და ფიქრთან ერთად ჩემ სუნთქვას ავყვე, სიტყვებს ვეაზრო და რომ მეც იმ დროს ქაღალდს არ ვგავდე შუაზენახევს, ხოჭოები კი ოქროსი გახდნენ და ფერს იცვლიან ახალს და ახალს, ვერიდე ტკბობას და ყველა მახეს, შენ კი ღმერთი ხარ და ჩემ წინ დგახარ და ალბათ ფიქრობ, – "მართლაც რომ ერთი, ან ერთნაირი პერანგი გვმოსავს", – ორივეს ერთი გვაქვს სამოსელი ნამდვილი სიტყვა და არა ლოცვა, ნამდვილი, ნამდვილი, ყველაფრით ნამდვილი, თუნდაც ლოცვით და ლოცვის გარეშეც, თეთრი პერანგით





სამყაროს ზომის, სიკვდილი ჩვენ წინ გავათარეშეთ, შენ ყველა მხრიდან შუქი გდიოდა, მე იმ სხივებით ბედს ვიკერავდი, როგორც ნიშანი ღვთაებრიობის, სიმბოლოდ კაცის, თეთრი პერანგი.

*19 ოქტომბერი 2010*

## ჩემთან მოვიდა ის
## ვისაც ველოდი

ჩემთან მოვიდა ის ვისაც ველოდი, ჩემი მეგობარი, ჩემი დიდი მეგობარი, ისევ პირისპირ დავდგებით ჩვენ ორნი, ბავშვობისას მე რომ ვგავდი, ისეთივე სახისაა, ახლაც ისევ ისე ვხედავ, ჩემი ბედი ხელით დააქვს, ვხედავ ფესვებს უცხო ხეთა, ერთი ხე კი იმხელაა, ისე შორს დგას ისე ახლოს, განზომილებიდან გადის, ხან გააჩენს ხან გააქრობს, გალაქტიკის ფოთლებს როგორც ნისლეულებს და პლანეტებს, წარსული სურს დაიგროვოს და ახალ დროს მე მიმეტებს, შესაცნობად, საზიაროდ, მთელ ჩემ გზაზე ბევრჯერ შევხვდი, მიყვარხარ და ვაღიარებ, მეგობარი მე მყავს ღმერთი.

*22 ოქტომბერი 2010*





## 4 სტიქიის პროგრამა —
## სიმბოლო სისხლი

4 სტიქიის პროგრამა, სისხლში გვაქვს, კოსმოსს ვადარებ, სიზმარი დღემ ჩამომბანა, მირჩია, როგორც პატარებს, ისე დიდებსაც და ისე ყველას, თავი ვაჩუქო, თავი ვაჩუქო, და სამომავლოდ გადამიდევნა დრომ ყველა წამი და სხვა საწუთროც, მამოგზაურა და მომატარა და მომიწონა აღქმა უნივერსის, მე გულით მესმის დრო და პატარა მოვლენა ახდა, გახდა უდიდესი, 4 სტიქიის პროგრამა ჩაირთო, ვინცა ვართ დავრჩით, სახე კი ვიცვალეთ, სიტყვები, სიტყვები, სიტყვები, სიტყვები, დე ასე იყოს ზეციდან მიწამდე, დე ასე იყოს მუსიკა მათი, ჩვენში ისმოდეს და ჩვენს გარეთაც, ყველა დაღმართი ავიაღმართეთ, როცა განგება თავს გვადარებდა, დე ასე იყოს, დე ასე იყოს, რაც კი შეერთდა აღარ გაიყოს, წყალი ჰაერში თავისთავს მიჰყვეს, დამიწდეს ცეცხლით, გარდაგვესახოს, უყურადღებოდ დარჩენილ სიტყვებს ვუყურებ თვალებში და ერთადერთ დროს, მე ახლა ვნატრობ, მე ახლა ვეტრფი, როცა მიყვარდი და თავს ვერ ვცნობდი, მე თვითონ ტექსტი ვარ თხემიდან ტერფით, ეკრანზე ტივტივებს პროგრამა WORD — ი, ეკრანზე ტივტივებს ყველა სიტყვა და ყველა ნიშანი, ყველა სიმბოლო, მათი გაგზავნა ყველგან მიყვარდა, კვლავ მიყვარს რადგან მსურს კვლავ

ვიპოვნო ის ერთი წამი, როცა მიყვარდი, რაღაცა ნამდვილი ხდებოდა იმწამს, მე ხომ სიტყვა მდის სისხლში და სისხლიც, იმ სინამდვილის სიმბოლოდ იქცა.

*26 ოქტომბერი 2010*





## ზოგჯერ სხვის აზრს პატივს ვცემ მხოლოდ როგორც სხვის ნივთს

არ არსებობის აზრს ვერ ვხედავ და აზრს ვერ ვხედავ არც არსებობის, აზრის ძიებაშიც აზრს ვეღარ ვხედავ, აზრის დაკარგვაშიც არაა აზრი, მე გიჟი არა ვარ და არც ნორმალური, მე კარგად არა ვარ და არ ვარ ცუდად, სურვილიც არასდროს არაფრის მქონია, სურვილი რა არის არც ვიცი, ვუთხრა, მე მინდა ვუთხრა ბევრ ჩემ თანამგზავრს, თუ როგორ ვადგამ მიწაზე ნაბიჯს, მაგრამ არაფერს არ ვეუბნები, აზრს ვერ ვხედავ და არ ვიცი რა მჭირს, ან სად გამიხმო განმარტოებამ, თავისთან გამიხმო, ყველგან და არსად და მაპოვნინა ისეთი სიმშვიდე, ისეთი, ისეთი, ისეთი, რომ... რომ ყველა აზრი თავს რომ მიშლიდეს, მაინც დადგება ისეთი დრო, როცა იტყვი რომ მართალი ვიყავი, როცა იტყვი, რომ დრო ისევ წავიდა, ათასში ერთია მოთეთრო ყვავივით, კაცი, შორს მყოფი ყველა აზრისგან.

*7 ნოემბერი 2010*

## დიდი დასასრულის ჩვენი მოლოდინი

დიდი დასასრულის ჩვენი მოლოდინი, დიდი ამბების დასასწყსისკენ, ისევ მიბიძგებს, იქით მივყავარ, შუქი სადაც ცას ააგვირისტებს, თუმცა ცა როგორც ასეთი, სადღაა, ცა სიცარიელედ ცა ამოვიცანი, ცანი კი ძმაო, ო ჩემო ძმაო, ჩვენშიც იცნობა, იცი ვინც არის, მათი მომგონი, ჩამფიქრებელი, ჩვენი წარმოშობის სხვა ფენომენი და შენთან ერთად მის სიახლოვეს მთელი ცხოვრება რომ მე მოველი, რომ ჩაგიფიქრებ ნუთუ მიხდები? ჩემი ნატვრა ხარ? ნუთუ შენ გნატრობ? ჩვენ ხომ ფიქრნი ვართ თითქოს ღვთის ნების და ერთმანეთის თუ გვესმის, რატომ... რატომ ვერ ვშველით ვერც თავს ვერც სამყაროს და ვერც სამყაროს მიღმა მხარეებს, სამჯერ გიყვარო, სამჯერ გახარო, მინდა, თავი კი კვლავ მათავხედებს, თავს ველარ ვუშლი სიცოცხლის ჩვევას, ამიტომ ვერ ვიტანთ სიკვდილს ვერავინ, სუნთქვებს სიტყვები კვლავ დაემჩნევა, მე ზღვა ვიყავი და ზღვად ვღელავდი, თუ კი ჰაერი ვიყავი მაშინ ცეცხლი და მიწაც ერთად ვყოფილვარ და რადგან სუნთქვებზე სიტყვებს ვერ წავშლით, მოგვიწევს წასვლაც წუთისოფლიდან, მაინც შევხვდებით სადაც ვიქნებით და ვინც ვიქნებით ჩვენვე ვიქნებით და შეიცვლება სამყარო ჩვენთვის, როგორც იცვლიან მკითხველს წიგნები.

*9 ნოემბერი 2010*





## დღეს გავიხიზნე ჩემი თავისკენ

დღეს გავიხიზნე ჩემი თავისკენ, ვიარე დიდხანს, დიდხანს ვიარე, გზა სამშვიდობო გადავივიწყე და თითებშუა დრო გამდინარე გადამავიწყდა ისიც თავისით, სამშვიდობოზე მაინც გავედი, იქ ყველა ბგერა ასე ღრმად ისმის, თორმეტი კარით, ზოგჯერ ცამეტით ხანდახან ვხედავ სამყაროს ანარეკლს, სინათლის სიჩქარეს, სიბნელის სინელეს, ზოგჯერ აღმართსაც დაღმართს ვადარებ თავს როცა შუქიც გადაიბნელებს, მიისაკუთრებს წამიც მთლიან დროს, ჩემი შენდამი ტრფობაც გაქრება, ან არ გაქრება, სხვას ვის მივაგნო, შუქზე სხვა შუქი არ ჩანს ლაქებად, დღეს გავიხიზნე ჩემი თავისკენ, ყველა სიკეთეს დღეს მინდა შევწვდე, ალბათ ვერასდროს ვერ დავივიწყებ, წამს, როცა ისიც ილტვოდა ჩემსკენ.

*10 ნოემბერი 2010*

## პოეტი PHD

ჩემ სახლში მეჩვენებოდა, მოჩვენებასავით მსგავსი რამ ერთი, ჩემ სახლში საწოლი იდგა, მაგიდა, სკამები, ვიდექი მეც, სიტყვის სიღრმე და სიტყვის ზედაპირი, იდეალურად გავწმინდე, გეტყვი, მე ვარ სამყარო იქიდან აქეთ, საყოველთაო დიდების დღე სწორედ ახლა დგას და თუ არა დგას, მალე დადგება, ძალიან მალე, პარადოქსია მთელი ქვეყანა და სიყვარულიც პარადოქსია, თუ მხოლოდ თვალებით გიყურებ ვხედავ, ოდესმე ხილვებიც დაღლიან თვალებს, თუ მხოლოდ ვიცოცხლებთ მხოლოდვე მოვკვდებით, უსასრულობაც კართან მომსვლია, უსასრულობის საზღვრებს დრო ვერ შლის, რიცხვები გვიტაცებს, თორმეტი, ცამეტი, სტივენ ჰოკინგმა მითხრა მოეშვი, ლეონარდ სასკინდმა მითხრა წავედით, ტვინი მაქვს სიმბოლოდ უსასრულობის, პატარა მოვლენად მივიჩნევ დიდს, პარადოქსები პოეტის გულს უდრის, პოეტი წოდებით ფი ეიჩ დი, ახლა კი სახლიდან კედლები გაქრნენ, გაქრა თორმეტი მისივე კარიც, ის მოჩვენებაც გაქრა და ახლა მე სამყარო ვარ და ცოცხალ-მკვდარი, ნახევრად ძილში ნახევრად ფხიზლად, მე გზას ვაგრძელებ სხვა გარდასახვის, ნუთუ შენც აქ ხარ და გზად მომყვები, ნუთუ სახელიც შენ მე დამარქვი...

მაგრამ სახელნიც იცვლიან ბგერებს, როცა ღმერთი მათ გზად წაიმღერებს.

*14 ნოემბერი 2010*





## შენ გაღიმებას მივიჩნევ ჩემად

**ხოტბა** – პირველი ნაწილი

შენ გაღიმებას მივიჩნევ ჩემად და გაღიმებაც თითქოს ხიდია და ჩვენ შორისაც ღიმილი რჩება, როგორც სიმბოლო, საით მიდიან, საით მიდიან სიჩუმეები როცა გზად სიტყვებს გაიყოლებენ, მე დეკემბრის დღე ვიჩუქე ერთი, შობის სიზმარიც შენთვის ვპოვე მე, დაბადებული შენ სწორედ დღეს ხარ, ლექსი ნამდვილი გაგხდის უნახავს, რადგან ანგელოზთ და რადგან ღმერთსაც, შენი ესმით და შენვე უყვარხარ.

*1 დეკემბერი 2010*

## მე ჩემ ქუჩაზე

**ხოტბა** – მეორე ნაწილი

მე ჩემ ქუჩაზე ყოველდღე დავდივარ, მე ჩემ ქუჩაზე ძმაკაცები მყავს, მე ჩემ ქუჩაზე ფანჯრიდან, კარიდან, ყველგან შენ გხედავ ბედის თილისმად, შენ გაღიმებას მივიჩნევ ჩემად და როგორც ყველგან აქაც შენ მეფობ, სულ ასე გადის, სულ ასე რჩება, მთელი ცხოვრება, ცხოვრება ძმებო. ქუჩათა ხოტბის დამჩემდა ჩვევა, სიყვარულს ბოლო აღარ უჩანდეს, მე შენ სევდასაც მივიჩნევ ჩემად, ვადგამ ნაბიჯებს მე ჩემ ქუჩაზე, ჩვენ შორის მდებარე დღე და ღამის ქუჩას, ოქროს ნისლი უჩანს, ქუჩა ხიდია, დასავლეთისკენ ღამე ალურჯდა, გზად მოგზაურნიც იქით მიდიან, აქ კი ჩვენ ვრჩებით, აქ ჩვენ გვიყვარდა, აქ უცნაური სინათლე მეფობს, აქ მისასვლელიც ვიცით იმ კართან, საიდან სამყარო გვეხსნება ძმებო, სამყარო შორი და უშორესიც, ღმერთსაც საზღვარი აღარ უჩანდეს, აღქმას ყველა ეჭვს განვუშორებდი და სინათლეებს მე ჩემ ქუჩაზე, სულ გზად მივყვები, სულ შენთან მინდა და შენ გარშემო წრედ რომ ვლუნავდე, სხივს სათითაოდ, იქითა მხრიდან, სულს რომ მინათებს მე ჩემ ქუჩაზე.

*10 დეკემბერი 2010*





## გადაიწია ღამე დილისკენ

გადაიწია ღამე დილისკენ. გადაილოცა ჩვენი სიზმარიც. მე შენთვის თავი გადავივიწყე და როცა შეგხვდი, ისევ ვიცანი. გვაქვს არჩევანი ერთი ორიდან, ახალი წამიც მოგავს გვიანდელს, შენი მოსმენა ისევ მომინდა, სიზმრად რა ნახე, მიდი მიამბე...

...და გარდასახვის ძალით და ნიჭით, ჩვენ ტკივილებზეც ხომ გავიცინეთ, დასალიერიც ხომ იქით მიდის, იმ უცნაური დასაწყისისკენ, სად ერთმანეთი ჩვენ შევიყვარეთ, ღამე მშვიდია, შენია მართლაც, დღეც შემობრუნდა შენივე მხარეს და დრომ თავიდან დაიწყო ათვლა.

*19 დეკემბერი 2010*

## ვეცადე ამეხსნა ჩემი ვინაობა

ვეცადე ამეხსნა ჩემი ვინაობა. მე ვარსკვლავი ვარ, შენ ამას მიხვდი. ცა და მე ერთად განვიცდით ჩვენ თავს, დამეცა თითქოს ზეცათა რითმი. დამეცა ერთად, დიდი დახეთქებით, გასრესვის ნაცვლად მომცა სიამაყე, ყველა დროს შენთან მოსვლას ვახერხებდი, თურმე რა ახლოს ხარ, თვალი მითამაშებს. რისი ნიშანია? რამე უნდა მოხდეს? რამე საშინელი? ან, სასიხარულო? ჩემში ორი ღამე ემგვანოს ორ დღეს, ჩემში სიჩუმემაც დაე იხმაუროს. ოთხი დღე ოთხი, ათასწლეულივით, ერთი დღე რადგან ათასი წელია, მკვდარი გავცოცხლდი და აღარ დავსნეულდი, სამყაროს ნიშანიც სისხლში მიწერია. რადგან ვარსკვლავი ვარ, შუქიც ტანზე ამდის, შორიდან მხედავ და თავს მამგვანებ, ყველა სინამდვილე, ყველაფერი ნაღდი, მხოლოდ შენთვისა მაქვს და სხვა არაფერს მე შენ არ მოგართმევ, სიტყვებს გადანარჩევს, საიდუმლოს ახსნას ახლა ბევრი ბედავს, მაგრამ იმ ბევრისგან მაინც გამომარჩევ, რადგან შეგიყვარე სხვებზე უფრო მეტად.

*21 დეკემბერი 2010*





## დეა

ჩემთვის აუხსნელი შუქებით მეძახის
ჩემი სიყვარულის სახელი დეა,
დეას ვარსკვლავები სიზმრად აპნევია
რა საღამოა, რა შუადღეა,
როგორი ღამეა, რა სიმშვიდეა,
როგორი კრთომა აქვს დეას ნათებას,
მისკენ მიიწევენ, მისკენ მიდიან
ჩემი სუნთქვანი, სულზე მათბება

სახელი დეა, შენი სახელი,
შენი სინამდვილე და გაოცება,
როცა პირველად თვალს რომ ვახელდი
სამყაროს ხილვა მასაოცრებდა,
მივართვი სიზმრებს სახება კაცთა,
სინათლის პირისპირ რა მარტო ვყოფილვარ,
დეას ვარსკვლავი ჩემ სულთან დადგა,
ახლა და ამწამს დამათრო შორიდან

მოსულმა სურნელმა, კოცონთა კოცნამ,
ნუშის ყვავილობის ნუგეშის სურნელმა,
დეკემბრის წამიც წელიწადს მოწყდა,
ცას ჭექაქუხილმაც ნაპირთან უელვა,
მე იმ ნაპირზე ვარ, რა სიმშვიდეა,
სხივებს სათითაოდ დეასთვის ვინ ათვლის,
თუ არა სუნთქვანი ჩემგან რომ მიდიან
და სიყვარულნი დაწნულნი სინათლით.

*23 დეკემბერი 2010*

## მე ისევ მინდა შენთვის ვიცხოვრო

მე ისევ მინდა შენთვის ვიცხოვრო, სიკეთე გქონდეს ჩემგან მილოცვად, ახლა მე ღამით ნატვრა მეახლა, ახალი წლის დღეს ისევ გილოცავ.

*31 დეკემბერი 2010*





## სამყაროს ყველა მხარეს

ჩემი შიმშილი ხარ და ჩემი წყურვილი, ჩემი დაცემა და ჩემი ფრენა, სამყაროს ყველა მხარეს დღესვე შემოვივლი, ფერებზე ვფიქრობდი, სად რა დამეფერა. ღრმად ჩემ გულში კი, რაღაცა ხდება, რაღაც აუხსნელი, ხმოვანი, შორი, შორი შენამდე, შორი ჩემამდე, ჩემი სიშიშვლე ხარ, რადგან მოვიშორე ტანისამოსი, ის აღარ მჭირდება, აღარ ვიმოსები შენთან შესახვედრად, დილას საკვირველი ხილვა შევიცანი, ღამით ის შენ გგავდა, დღენი შესაქმეთა აქვე მიმოდიან, აქვე იღვრებიან, წყლები და ვარსკვლავნი, ვნებანი, სიზმარნი, ერთი სხივისათვის, შენ რომ შემოგიწნა, ერთი ყლუპისათვის, რას აღარ ვიზამდი, ჩემი წყურვილი ხარ და თავი მიყვარს, მხოლოდ შენს გამო მე როგორიც ვარ, შენით ვივსები აქაც და იქაც, წვეთი მთლიან ზღვას როგორც მოიცავს.

*1 იანვარი 2011*

## სამყარო ახლიდან

ზოგჯერ თვალს მოგკრავ, შვებას ვპოულობ, და, შვების გარდა ვპოულობ ლოცვას, დაკარგულ ლოცვას, დაკარგულ სიტყვებს, მღვდელი კი არა ჩვენ ღმერთი გვლოცავს. ღმერთი, ჰო, ღმერთი, განა სხვა ვინმე, განა სხვა ძალით შენ განასხვავებ მთლიან სამყაროს, მე შენად ვილებ, მთლიანი სამყაროც მენიშნა იქნებ, ერთადერთ შვებად, მე შენთან მინდა, ვარსკვლავნი ვპოვე ცაზე შემდგარნი, გამოგიყვანდი ახლა ჩემამდე, მე რომ ვიცოდე სადა აქვთ კარი სამყაროთ შორის გასასვლელებს ან გამოსასვლელებს ყოველი მხრიდან, თანავარსკვლავედთან განისვენებდა სინათლის სული და ზეცას ქმნიდა, ვით მონატრებას ძველ ნასახლართან, სადაც ოდესღაც ისმოდა ლოცვა, როცა ვარსკვლავნიც კვლავ განასახლა, ჩვენ ერთმანეთის ნატვრებიც გვლოცავს, ჩვენ ერთმანეთსაც ახლიდან ვიცნობთ, სიკვდილიც ერთ-ერთი კარია მხოლოდ, გარდავიქმნებით და გზებიც ვიწროდ, შავი ხვრელების მეორე ბოლოს, გარდაიქმნებიან სავანეებად, მე მსიამოვნებს ეს გარდასახვა და დაწმენდილი ყოველი ლოცვა ასე ვეება ძალით რომ გვლოცავს, სულ მიგვაქანებს ერთმანეთისკენ, სულ მიგვანიშნებს — მე თქვენთან ვარო, თითქოს კითხვაზე პასუხს ველირსე, როცა თვალს მოგკრავ მე მაშინ ვხარობ.

*9 იანვარი 2011*





## მინდორნი და დღეღამენი

დღეღამეთა გრძელი წყება, სურათებად გავიკარი, დრო გადის და უკან მრჩება შარშანდელი კალენდარიც, გადავითვლი წლებს თან რამდენს, ჩემ სიზმარში ლურჯად თოვდა, ცხადიც ხან რომ სიზმარს გავდეს რა მაგარი იქნებოდა... პიანინო ოთახში დგას, ეს სიმბოლო რას მანიშნებს, მივაგენი თითქოს დიდ მთას და დიდ ფრთოსნის დარჩენილ ნეშტს, მე იქ ყოფნა სულ მინდოდა, იქ სიჩუმეს სიტყვა ეთქმის, ცაც ერთდება ხან მინდორთან და ხმაც ისმის ზოგჯერ ღმერთის, ამ მდელოდან სხვა მდელომდე ნისლიც გაწვა როგორც ბოდვა, ახლა ჩემი რომ გჯეროდეს რა სიმშვიდე იქნებოდა... მუსიკას ვთხოვ სიჩუმის ხმას, განსიტყვებაც ფიქრებს უნდათ, რომ გიყვარდე, სულ გიყვარდე რა ბრწყინვალე იქნებოდა... იცვლებიან დღეღამენი, დრო ხან გადის ხან გამოდის, დიდ ჩანაფიქრს მივაგენი, მაგრამ კითხვებს რა სად როდის, ვერ ვუძებნი მაინც პასუხს, რატომ რატომ აქ რატომ ვარ, ან სამყაროს ჩემგან რა სურს, ან ამდენ ხანს რად მადროვა, იგი წავა და სხვა მოვა, მშვიდობასაც ვითმენთ ომთან და სამყაროც მართლაც რომ რა უკეთესი იქნებოდა, ძველი წლებიც გავდნენ ახლებს, წამიც შედგეს იქნებ ოდნავ, მე მშვიდად ვარ რადგან ვნახე, ჩემ სიზმარში ლურჯად თოვდა.

*11 იანვარი 2011*

## კვიპაროსები სევდის ხეებია

კვიპაროსები სევდის ხეებია
და გარდაცვლილთა სიმშვიდე ახლავთ.
რამე უთქმელი თუ დამრჩენია
ხეები მეტყვიან ამწამს და ახლა.

თუკი მათ შორის ბილიკს გავყვები
და ის სიმშვიდე ჩემშიც შემოვა.
ვწონასწორდები შენი თანხლებით
და აღარ მიკვირს თურმე შენ რომ ვარ.

კვიპაროსები. სევდა და სიჩუმე.
საფლავზე დაისი ყვავილად გაწვა
და ის ყვავილი შენთვის ვიჩუქე
რადგან მე ვცხოვრობ ახლა და ამწამს.

რადგან ავყურებ თანავარსკვლავედს
და ჩვენთვის ნაცნობი ნათება მხვდება.
ყოველთვის სხვებისგან გამოგანსხვავებ
ბგერის ფერებად, სინათლის ხმებად.

ყოველთვის ვხვდები რაღაც საზღაპრეთს,
როცა ვკვდები და ვცოცხლდები ისევ.
თითქოს ხეებმა ჩრდილნი დამარხეს
ერთი ჩრდილი კი სინათლით ივსებს





საკუთარ იერს და ისევ ქრება
და ისევ მესმის ხმა შეყვარების,
ოქროდ იწნება ხმა ძვირფას ქვებთან
მე ხომ ყოველთვის შენ მენატრები

და თითქოს მიწაც ხეების სევდით
ჯერ გაიჟღინთა და მერე დალბა
და შენს გარეშე თუკი ვიქნები
მეც გარდაცვლილი ვიქნები ალბათ.

*15 იანვარი 2011*

### π

სამი მთელი თოთხმეტი.
პი.
მარადიულის ნიშანი. მუდმივობა.
პოეზიის პირისპირ
დგას ნიშანი პი.
პირველი და უზენაესი,
სიყვარული ჩემი.
თვითონ პოეზია. ღმერთი და კაცი.
შენი, გულით სატარებლად
ყველა ყველა საზღვარს გავცდი.
სამი მთელი თოთხმეტი,
ყველა კარი გავხსენი,
მე ჯანმრთელი მოვედი
და ჩემ სულზე წარწერით

პი,

სამუდამოდ დაგინახე,
სამუდამოდ ამოგხსენი,
სამუდამოდ ღმერთის მხარეს
გავწიე და სახლის სხვენიც,

როგორც სახლის საძირკველი
შენი ქებით დავიფუძნე,
მე სამოთხის სამ სხივს ველი
შემოქმედის ხელისგულზე,





სული სიკვდილს გვერდს აუვლის,
რადგან მესამე დღეს ხდება,
ქვეყნად დიდი სასწაული,
სიკვდილის წინ შეყვარება.

*16 იანვარი 2011*

## სარჩევი


THE STARKING ............ 7
სუნთქვებს მივყვები............ 8
ჭიამაია ხელზე დამაჯდა, ............ 9
სევდა საფლავთან............ 10
სევდა წასვლისას............ 11
სევდა სიტყვების ............ 12
სულ მოვისწრაფი ასე შენდამი............ 14
ცას აწყვეტილი............ 16
ღვინოს ვისხამდე დილის სისხამზე ............ 17
სამშვიდობოსთვის ............ 19
სევდა სიზმრების............ 20
სახარება FACEBOOK............ 21
ძე უძღები ............ 23
სიჩუმის ხატთან............ 25
აფრინე კოცნა, მოკითხვა, სითბო ............ 27
ტყის ბილიკზე მიმავალი ............ 28
ნაბიჯ-ნაბიჯ მარტოდ მარტო ............ 28
ბევრი კითხვისგან (ყველაფრით დაღლილს)
ეძინა... ............ 32
და დავუწერე ასე: ............ 32
ტბები და ტყეები ............ 35
ის მე ვერ მხედავს............ 37
სიცარიელე............ 39
სევდა ლერწამთა............ 42
წვეთი............ 44
კვალი ოთახში............ 46
მომენატრე. მომე ნატვრა ............ 52
სიახLOVE............ 53
ზოგი რამ რჩება აქ სამუდამოდ ............ 54
როგორც უწინ როგორც ადრე ............ 55
სევდის ნიშანი ............ 57
სევდა წყალთან............ 59
წასასვლელი ვარ ............ 61
ჩემი თავისთვის მე სულერთი ვარ............ 62
მოჭრა ღამემ მთვარე მორჩა ............ 64
აქ შუქს ანთებულს დავტოვებ............ 66
ხელები ............ 67
თუ გინდა გეტყვი ............ 68
სწორედ ის ............ 69
16 სექტემბერი 2010............ 70
მე ვარ კახეთში ............ 71
შვიდი ღამე და ორი დღე............ 72
ლოგიკური აბდაუბდა............ 73
მადლობა............ 75
შენ ხარ ჩემი შინაარსი ............ 76
SKYPE-თ მიწერილი............ 77
დავამთავრებ და ისევ დავიწყებ ............ 78
გაამოს............ 79
ჩემი პოეზია — SUPERNOVA............ 81
სევდა აღარაფრის............ 82
თეთრი პერანგი ............ 84
ჩემთან მოვიდა ის ვისაც ველოდი ............ 86
4 სტიქიის პროგრამა — სიმბოლო სისხლი............ 87
ზოგჯერ სხვის აზრს პატივს ვცემ მხოლოდ
როგორც სხვის ნივთს............ 89
დიდი დასასრულის ჩვენი მოლოდინი ............ 90
დღეს გავიხიზნე ჩემი თავისკენ ............ 91

პოეტი PHD ........................................................ 92
შენ გალიმებას მივიჩნევ ჩემად ....................................... 93
მე ჩემ ქუჩაზე ................................................... 94
გადაიწია ღამე დილისკენ............................................ 95
ვეცადე ამეხსნა ჩემი ვინაობა........................................ 96
დეა ................................................................ 97
მე ისევ მინდა შენთვის ვიცხოვრო...................................... 98
სამყაროს ყველა მხარეს............................................. 99
სამყარო ახლიდან ................................................ 100
მინდორნი და დღეღამენი........................................... 101
კვიპაროსები სევდის ხეებია ........................................ 102
π ................................................................ 104